ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



„იმედის“ დარბევისთვის ერეკლე კოდუას 9 წელი მიუსაჯეს

გვ.7

19 აპრილიდან

120 ამბავი

ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2018 №97 (7642) ფასი: 50 თეთრი

# მაია ცქიტიშვილი პრემიერობისთვის ემზადება?

## მამუკა ბახტაძე შეიძლება „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გახდეს



გვ.2



## გოჩა მირცხულავა: „პატრიარქის მოსაყდრე შიო მუჯირი ლეგიტიმური არ არის“



გვ.2

„საქართველოს ჰყავს კათოლიკოს-პატრიარქი. ილია II არ გადამდგარა, იგი სრულფასოვნად ასრულებს თავის მოვალეობას“



## დავით ლორთქიფანიძე: „კარგია, „ოცნებაში“ ყველა ერთ აზრზე რომ არ არის“

გვ.4

### სამართალი

გვ.7



აფგან მუხთარლის ადვოკატს სასამართლო პროცესამდე ერთი დღით ადრე ლიცენზია შეუჩერეს



პოლიციამ კასპში მომხდარი ყაჩაღობა ცხელ კვალზე გახსნა — დაკავებულია 2 პირი

გუდაურში სრიალისას 12 წლის სალომე ტატიშვილის დაღუპვაში ბრალდებული სააპელაციო სასამართლომ გაამტყუნა



### ეკონომიკა

გვ.6

ნავთობკომპანიები საწვავს მოსახლეობაზე 35 თეთრით უფრო ძვირად ყიდიან, ვიდრე სახელმწიფოზე







„აგარის შაქარი“ იმპორტირებულთან შედარებით კონკურენტუნარიანი იქნება



„უცხოელების მფლობელობაში არსებული 50 ათასი ჰექტარი მიწიდან 12 ათასია დამუშავებული“

გვ.5

გამყოფი ხაზების გასწვრივ მოვაჭრე პირებისთვის შეღავათები დაწესდება

ISSN 1987-9385

8 პაპუნიანი: „მზად ვარ, პრემიერი გავხდე!“

4 ავთანდილ დემეტრაშვილი: „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი ივანიშვილი უნდა იყოს“

3 მამუკა გამყრელიძე: „მალე დიდი ოპოზიციური ერთობა შედგება“

5 თამარ ჩხეიძე: „პატრიოტთა ალიანსი ახმოვანებს იმას, რის თქმასაც ვერ ბედავს „ქართული ოცნება“

# მაია ცქიტიშვილი პრემიერობისთვის ემზადება?

## მამუკა ბახტაძე შეიძლება „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გახდეს

შორენა მარსაგიშვილი





ავღანეთის და სირიის მსგავსად, სიმშვიდე აღარც „ქართულ ოცნებას“ უწერია. ძველების და ახლების დაპირისპირება, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გამწვავდება, ცეცხლზე ნავთს კი, კარს მომდგარი სამთავრობო კარუსელი დაუსხამთ.

„ოცნების“ ლიდერები – კკკ (კვირიკაშვილი-კალაძე-კობახიძე) რეგიონებში გავიდნენ და ადგილზე მართავენ კონფერენციებს. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ 24 აპრილს ზუგდიდსა და ქუთაისში გამართულ შეხვედრებზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემაზეც ილაპარაკეს.

ამ თემაზე საუბარი ძალიან ვიწრო წრეში იყო. სამაგიეროდ, ფართე მასების გასაგონად გამოუცხადა პრემიერმა კვირიკაშვილმა მხარდაჭერა „ოცნების“ ძველ გვარდიას.

– არ უნდა დავივიწყოთ იმ ადამიანების წვლილი, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ პირველივე დღიდან გვერდში ედგნენ, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

ეს განცხადება საზოგადოებამ და მათ შორის მეოცნებეებმაც კალაძე-კობახიძის დაჯგუფებისთვის გაგზავნილ მესიჯად მიიღეს. ისინი აშკარად ცდილობენ იმ ხალხის ჩაძირვას, ვინც „ოცნებას“ მართლა პირველი დღეებიდან ედგა გვერდით და ნაციონალების რეჟიმს ებრძოდა.

ძველების კატეგორიაში გადის დეპუტატი ნუკრი ქანთარიაც, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ახლების მიმართ საჯაროდ გამოხატა პრეტენზიები. ამის გამო მას კობახიძის დაჯგუფება პარტიიდან გარიცხვასაც კი უპირებდა, მაგრამ კვირიკაშვილი საქმეში დროულად ჩაერია.

ბოლო დღეებში ქანთარია უფრო მოკრძალებულ კომენტარებს აკეთებს. პრემიერის მესიჯიც მოკლედ და მოკრძალებულად შეაფასა.

– გიორგი კვირიკაშვილის დამოკიდებულება ასეთია – გავუფრთხილდეთ ყველას, – მიიჩნევს „ოცნების“ ძველი გვარდიის წარმომადგენელი.

უკვე ძალიან აშკარაა, რომ ძველი გვარდია მთავრობის მეთაურის გარშემო ერთიანდება. ძალიან მალე მათ, სავარაუდოდ, ახალი ბელადის მოძებნა დასჭირდებათ. „ოცნებაში“ ისევ აქტიურად ალაპარაკდნენ ახალ პრემიერზე.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პარტიის ლიდერები რეგიონებში დადიან და შეხვედრებს მართავენ. საპრეზიდენტო არჩევნებზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ ლიდერებმაც კი არ იციან, ვინ იქნება კანდიდატი.

იანვრიდან მოყოლებული, „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით არაერთი ვარაუდი გამოითქვა. გუშინ, 25 აპრილს, ახალი ვერსია გაჟღერდა. გავრცელებული ინფორმაციით, მმართველი გუნდი მამუკა ბახტაძის კანდიდატურას წარადგენს.

მამუკა ბახტაძე რომ ფინანსთა მინისტრად რაღაცისთვის გადმოიყვანეს რკინიგზიდან, ამაზე „ოცნებაში“ შარშანვე საუბრობდნენ. მაშინ მას უფრო პრემიერობას უწინასწარმეტყველებდნენ. თავად ბახტაძეც ძალიან აქტიური იყო. ის ახლაც აქტიურობს და სოციალურ ქსელში სულ მისი რეკლამაა.

ცოტა ხნის წინ, ბახტაძემ ბანკები დაგმო, რაც ექსპერტების შეფასებით, პიარ-სვლა იყო. მოსახლეობა ბანკების მიმართ უარყოფითად არის განწყობილი და ბახტაძე მათი გულის მოგებას შეეცადა. შესაძლოა, მას მართლაც ამზადებენ საპრეზიდენტოდ.

პირველი რადიოს ცნობით, გაიხედა პრემიერობის კანდიდატების ნუსხაც. აქამდე ამბობდნენ, რომ ამ პოსტს გიორგი გახარია დაიკავებდა. ახლა უკვე მაია ცქიტიშვილზე საუბრობენ.

მაია ცქიტიშვილი ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე სულ ახლახან დაინიშნა. ის ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია და წლების მანძილზე მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობა ეკავა. გაპრემიერების შემთხვევაში, ის პარტიის თავმჯდომარეც გახდება.

ამ ინფორმაციამ პარლამენტის სპიკერის ყურამდეც მიაღწია. როგორც ამბობენ, ივანიშვილი პრეზიდენტის პოსტზე მისი კანდიდატურის დაყენებასაც ფიქრობდა.

მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებს ის მონაჭორს უწოდებს და მედიას ასეთ რჩევას აძლევს:

– ასეთი ჭორები სხვადასხვა სახით დიდი ხანია ვრცელდება და ყველას მოვუწოდებ, შეინარჩუნონ სიმშვიდე და არ აყვნენ ჭორებს. ეს არის ჩემი მოწოდება.

❖ ❖ ❖

სიმშვიდის შენარჩუნება „ოცნებას“ დღეს, 26 აპრილს, ძალიან გაუჭირდება. თუ კიდევ არაფერი შეიცვალა, დღეს „ქართული ოცნების“ ოფისში საპარლამენტო უმრავლესობიდან პარლამენტის ბიუროს წევრების შეხვედრა გაიმართება. შეხვედრას პრემიერ-მინისტრიც დაესწრება.

როგორც „ოცნებაში“ ამბობენ, შეხვედრაზე განსახილველი საკითხი პარტიული დისციპლინა და უმრავლესობის წევრების მიერ ბოლო პერიოდში ერთმანეთის მიმართ გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები იქნება.

ამ თავყრილობაზე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილზეც იქნება საუბარი. 2 მაისს ის პარლამენტის წინაშე წარდგება. „ოცნება“ მის წინააღმდეგ სერიოზული შტურმისთვის ემზადება.

აქამდე მის გამოსვლას მინისტრები არ ესწრებოდნენ, ახლა მის მოსმენას მთელი მთავრობა დაესწრება პრემიერის თამადობით.

ჯერჯერობით პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატი გარკვეული არაა და იქნება თუ არა დებატები, ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

# გოჩა მირცხულავა: „პატრიარქის მოსაყდრე შიო მუჯირი ლეგიტიმური არ არის“

შორენა მარსაგიშვილი



საპატრიარქოს გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება. პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა უკვე ძალიან აქტიურ ფაზაშია შესული. სასურველი მიზნის მისაღწევად მეუფეების ნაწილი დასავლეთში დადის, მეორე ნაწილი – რუსეთში. მათი მხრიდან ბოლო დროს არაერთი სკანდალური განცხადება გაკეთდა.

სკანდალები არც პატრიარქის მოსაყდრე შიოს აკლია. ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ამბობს, რომ ქორეპისკოპოსი შიო ამ თანამდებობაზე არალეგიტიმურად იმყოფება.

რატომ არის მეუფე შიო არალეგიტიმური მოსაყდრე, რა პრობლემებს უქმნის ეს ეკლესიას, სად არის გამოსავალი? – ამის შესახებ გოჩა მირცხულავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**გოჩა მირცხულავა:**

– ქორეპისკოპოსი შიო პატრიარქის მოსაყდრედ გასული წლის 23 ნოემბერს დაასახელეს. 26 ნოემბერს, სამებაში გამართული წირვის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბარში მეუფე შიომ განაცხადა, რომ არ იცოდა, რატომ დანიშნა პატრიარქმა მოსაყდრედ.

მედია იმითაც დაინტერესდა, თუ რა უფლებამოსილება ექნებოდა მოსაყდრეს. ამაზე მეუფემ ასეთი პასუხი გასცა: უწმინდესობა, რომ ჩამოვა, ის თავად დააკონკრეტებს უფლებამოსილებებს.

მას შემდეგ, რაც ის მოსაყდრედ დაინიშნა, უკვე 5 თვე გავიდა. როგორც ირკვევა, ჯერ მისი უფლებამოსილება ცნობილი არაა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ის წესისა თუ კანონის დარღვევით ატარებს ამ უდიდეს ჯვარს. ამიტომაც ვამბობ, რომ საქართველოს არალეგიტიმური მოსაყდრე ჰყავს.

***– უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ იმის შესახებ, თუ რატომ არის მეუფე შიო არალეგიტიმური მოსაყდრე?***

– ჩავიხედოთ საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში, რომელიც საქართველოს ეკლესიის უპირატესი დოკუმენტია. მასში პირდაპირ წერია, რომ საქართველოს ეკლესია თავის მოღვაწეობას ახორციელებს შემდეგ საფუძვლებზე:

1. წმიდა წერილი და საღმრთო გადმოცემა; 2. წმიდათა მოციქულთა, წმიდათა მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და წმიდათა მამათა კანონები და წესდებები; 3. საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი და 4. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები (თავი I, §5).

ამ დოკუმენტში მოსაყდრესთან დაკავშირებით წერია: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების, გადადგომის ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რომელიც შეუძლებელს ხდის კათოლიკოს-პატრიარქისთვის თავისი მოვალეობების შესრულებას, კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მართავს ეკლესიას ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე“.

მოსაყდრის დანიშვნიდან 5 თვის თავზე ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ საქართველოს ჰყავს კათოლიკოს-პატრიარქი. ილია II არ გადამდგარა, იგი სრულფასოვნად ასრულებს თავის მოვალეობას.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიკითხოთ, რისი მოსაყდრე? რა მოსაყდრე? ვინ არის ეს მოსაყდრე? საიდან მოვიდა ეს მოსაყდრე? რა უნდა ამ მოსაყდრეს? რატომ არის ეს მოსაყდრე? რისთვის არის ეს მოსაყდრე?

სხვა მედიასაშუალებებთან ვთქვი და თქვენთანაც გავიმეორებ, რომ დებულება არ განმარტავს მოსაყდრის დადგენის კანონიკურ პროცედურას, თუმცა რამდენჯერმე ახსენებს სიტყვა დადგენას. ამ ვითარებაში საპატრიარქოში მყოფი, საკითხში ყველაზე უფრო გაუთვითცნობიერებელი პირიც ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ კანონიკურად მოსაყდრის, როგორც უმაღლესი იერარქიული სტატუსის მქონე პირის უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვა უნდა დაექვემდებაროს ასევე დებულებას, რომლის მიხედვითაც უმაღლეს მმართველობით ძალაუფლებას ახორციელებს საეკლესიო კრება (სინოდი).

საქართველოს ეკლესიაში უმაღლესი ხელისუფლება მოძღვრების, საეკლესიო მმართველობისა და საეკლესიო სასამართლოს სფეროებში, ანუ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის საქართველოს ეკლესიის საეკლესიო კრებას – საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს (თავი II, §1). აღნიშნულის საფუძველზე სინოდმა მოსაყდრე წინასწარ გაწერილი პროცედურით უნდა დაადგინოს.

ახლა ჩვენ ვდგავართ იმ ვითარების წინაშე, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქმა თავისი ნება გამოხატა, მაგრამ მოსაყდრე ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. ცხადია, რომ ეს გარემოება არანაირად არ უქმნის დისკომფორტს თავად მოსაყდრეს. ისიც ცხადია, რომ მას არც კი დაუსვამს საკითხი საკუთარი თავის კანონიკაში მოქცევის შესახებ.

***– ამის გამო მას რაიმე პრობლემა ან უხერხულობა არ ექმნება?***

– არანაირი უხერხულობა. ის თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს. როცა მოსაყდრედ დაინიშნა, განაცხადა, რომ პატრიარქის გადაწყვეტილებას ემორჩილებოდა.

ამ მორჩილებით, ის ეკლესიის დისკრედიტებას ახდენს.

***– ეკლესიის დისკრედიტაციას რატომ ახდენს?***

– იმიტომ, რომ სასულიერო იერარქს, რომელსაც საკუთარ პერსონასთან მიმართებით არ გააჩნია სამართლიანობის, კანონიერების განცდა, შესაძლოა, იგივე ჰქონდეს სხვებთან მიმართებით. არადა რწმენის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი მოცემულობა სამართლიანობაა.

მოსაყდრეს და მისგვარად მოაზროვნეებს, საპატრიარქოს ბიუროკრატიას, ქალბატონ შორენას პირადად, ფრიად კეთილი ზრახვებით განვუმარტავ, რომ ილია II-ის მიერ მოსაყდრედ კონკრეტული პერსონის დასახელება არის კანდიდატურის შეთავაზება და მოსაყდრე ჯერაც მოითხოვს დადგენას. მხოლოდ ამ პროცედურის შემდეგ, როდესაც წმინდა სინოდი დაეთანხმება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მოსაყდრე მიიჩნევა ლეგიტიმურად.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა გამყრელიძე: „მალე დიდი ოპოზიციური ერთობა შედგება“

**„შეხვედრიდან იმდენად კმაყოფილი დავბრუნდი, რომ მოვლენებს ცოტათი უნდა დავასწრო და ჩემი სიხარული თქვენც გაგიზიაროთ. მოგეხსენებათ, რომ დიდი ოპოზიციური გაერთიანების თემა ყველაზე აქტუალური და აქამდე გადაუწყვეტელი საკითხი იყო. მოლაპარაკებები კულუარებში პერმანენტულად მიმდინარეობდა, მაგრამ ყველა საკითხში შეჯერება ვერ ხერხდებოდა. და აი, დღეს უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დიდი ოპოზიციური გაერთიანების პირველი, მაგრამ მტკიცე კონტურები გამოიკვეთა. მოხდა შეთანხმება სუბიექტებს შორის ურთიერთობების ძირითად პრინციპებზე. კონსულტაციები ძალიან აქტიურ ფაზაში გადავიდა. უახლოეს დღეებში კიდევ იქნება სიახლეები. ახლა ამით შემოვიფარგლები“ – წერს სოციალურ ქსელში დიპლომატი მამუკა გამყრელიძე, რომელიც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.**



ნონა ცაბაძე

***– ბატონო მამუკა, თქვენ წერთ, რომ დიდი ოპოზიციური ერთობა შედგება. რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს? რა ახალი ამბები გაქვთ?***

– ძალიან კონკრეტიკაში ნუ გადავიყვანთ, მაგრამ საერთოდ ვიტყვი, რომ მუდმივად მიმდინარეობს საუბრები ამ საკითხზე. ეს არ არის ერთი დღის ამბავი. თუ ეგონა ვინმეს, რომ არ იყო მოლაპარაკებები კულუარებში, ძალიან ცდება. ეს სულ მიმდინარეობდა. ამჯერად კი რამდენიმე პარტიას შორის მოხდა ძირითად პრინციპებზე შეთანხმება, რა პრინციპებითაც ისინი იურთიერთქმედებენ საპრეზიდენტო არჩევნებზე და არჩევნებზე 2020 წელსაც.

***– შეგიძლიათ ეს პარტიები დაგვისახელოთ?***

– ჯერ ვერ დაგისახელებთ. იმიტომ, რომ ახლაც, ამ წუთასაც მიდის კონსულტაციები, დღესაც შეხვედრაა, კიდევ იქნება შეხვედრები ძალიან ბევრი, მსხვილი მოთამაშეებიც ჩაერთნენ ამ მოლაპარაკებებში და თან სრულიად სხვადასხვა სპექტრი.

***– დაიყოფა ოპოზიცია თუ ყველასთვის ღიაა თქვენი კარი?***

– ჩვენი კარი არის ყველასთვის ღია, ვისაც აქვს ასეთი დამოკიდებულება, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ელემენტარულად გადის 8-წლიანი ციკლი და ხელისუფლების მონაცვლეობა უნდა მოხდეს უპირველეს ყოვლისა, რომ დემოკრატიული პროცესი საქართველოში არ დაირღვეს.

***– ბატონო მამუკა, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებიც თამამად აცხადებენ, რომ ეყოლებათ ერთიანი ოპოზიციური კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთად ხართ?***

– როგორც მოგახსენეთ, მიმდინარეობს კონსულტაციები ყველა მიმართულებით და ძალიან საინტერესო საუბრებია. გარკვეულ ორგანიზაციებთან არის მოლაპარაკებები და ისინი უკვე თანახმა არიან, გარკვეული ორგანიზაციები იძახიან, რომ ისინი მეორე ეტაპზე შემოუერთდებიან ამ პროცესს და ასე შემდეგ.

***– რას ნიშნავს მეორე ეტაპი?***

– ჯერ გამოიკვეთება პირველი ჯგუფი, პარტიები დაასახელებენ კანდიდატებს. მოგეხსენებათ, ქართული ოპოზიცია ძალიან ფრთხილია და საკუთარი სუვერენიტეტის დაკარგვა არავის არ სურს. არის საკმაოდ ძლიერი და დიდი პარტიები და არის შედარებით პატარა და მცირერიცხოვანი პარტიები და მათ, რა თქმა უნდა, არ უნდათ ამ დიდი პარტიების ჩრდილის ქვეშ მოქცევა. ამიტომ შესაბამისად მიმდინარეობს საკმაოდ ფრთხილი პროცესი. თუმცა ის, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, ამაში ამ პარტიების უმრავლესობა თანხმდება. შესაბამისად, ახლა ლაგდება ურთიერთობის პრინციპები.

***– თქვენ ბრძანეთ, რომ ფრთხილია ოპოზიციაო. ბევრჯერ დაწყებულა ეს პროცესი, თუმცა გაერთიანება ვერ შედგა. ლიდერომანიით არის შეპყრობილი ჩვენი პოლიტიკური სპექტრი. რამდენად არის მზად ოპოზიცია, დათმოს ეს ამბიციები?***

– თუ არ დათმობენ ამ ამბიციებს, მივლენ იმ სიტუაციამდე, როდესაც „ქართული ოცნება“ გაანადგურებს მთლიანად ოპოზიციურ ველს და ამ საფრთხის წინაშე დგას უკვე ქართული ოპოზიციური ველი. კონსტიტუცია ისე შეცვალეს, რომ ასე მარტივად, გაერთიანების გარეშე, არჩევნებში რაიმე წარმატების მიღწევა შეუძლებელი გახდა.

***– პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ოცნების კანდიდატი უპირობოდ გაიმარჯვებსო. რატომ არიან ასე დარწმუნებულები?***

– რატომ არიან და როგორც კალიგულა იყო დარწმუნებული იმაში, რომ თავის ცხენს სენტორად შეიყვანდა რომის სენატში, ისე არიან ესენიც დარწმუნებულები, რომ ზებრას მოიყვანენ და ზებრას გაიყვანენ, იმიტომ, რომ ყველა ინსტრუმენტი, დაწყებული ადმინისტრაციული ინსტრუმენტიდან, ასევე საფინანსო ინსტრუმენტი, ეს ყველაფერი მათ ხელშია. მედიის 80% მათ ხელშია. რა თქმა უნდა, ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისა, რომ გაიმარჯვონ. ამისათვის არის სწორედ საჭირო გაერთიანება, ამისთვის არის საჭირო ენერგიის ეფექტის მიცემა პოლიტიკური პროცესისათვის და ხალხიც დაინახავს, რომ აუცილებელია გაერთიანებული ოპოზიციისთვის მხარდაჭერა, რომ შეიცვალოს ხელისუფლება. მე კიდევ ერთ რამეს ვიტყოდი, ის მოვლენები, რაც სომხეთში მოხდა, ძალიან კარგია.

***– ვისთვის არის კარგი?***

– სწორედ საქართველოსთვის, რადგან უკვე ძალიან ნათლად გამოჩნდა, რომ რუსეთის მიერ დასმული ხელისუფალის გაშვება, სრულიად მშვიდად შეუძლიათ თუ ამას ხალხი მოინდომებს და ამას გააკეთებს არა ძალისმიერი მეთოდებით, უბრალოდ მოითხოვენ და ამას ბოლომდე მიიყვანენ. რევოლუციისაც ეშინია ხალხს საქართველოში და აი, ხომ ხედავთ, მართლა როგორ ხავერდოვნად შეიძლება ყველაფრის გაკეთება. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ კონსტიტუციური ფარგლები არ უნდა დავარღვიოთ და 2020 წლისთვის ესე მშვიდად, ლამაზად, ხალხის მოთხოვნით გავუშვათ ეს ხელისუფლება და მოვიდეთ ხელისუფლებაში ახალი ძალებით, ახალი გაერთიანებით და შემართებით.

***– იმედი გაქვთ, რომ ეს ოპოზიციური გაერთიანება მოვა ხელისუფლებაში?***

– რასაკვირველია. აქვე ვიტყვი, ძალიან კარგი იქნება დღევანდელი საქართველოს განვითარებისათვის, რომ კოალიციური მთავრობა შეიქმნას, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს გააერთიანებს და საუკეთესო წარმომადგენლები ამ პოლიტიკური პარტიებიდან იმუშავებენ მინისტრთა კაბინეტში. ამას კიდევ შეიძლება წინ უძღოდეს ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტის შექმნა არჩევნებამდე. როდესაც საზოგადოება დაინახავს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ოპოზიციას ყავს გამზადებული ქვეყნის სახელმძღვანელოდ, ბევრად უკეთესები არიან, ვიდრე ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულები.

***– გვესმის შეფასებები იგივე ოპოზიციური პარტიებიდან, რომ პოლიტიკური სპექტრი, ოპოზიცია ძალიან ჭრელია და ჩვენ, გვინდა თუ არ გვინდა, მაინც მოხდება დაყოფა და ევროპული ღირებულებების მქონე ოპოზიცია გავერთიანდებითო. ამაზე რას იტყვით?***

– მე მოვერიდებოდი ასე დაყოფას, ევროპული, პროევროპული და პროდასავლური, ეს ცოტა არ მომწონს. არსებობს მართლა ოპოზიცია, ვინც მართლაც საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებისთვის არის მოწოდებული. ხოლო ის, ვინც ოკუპანტის პარლამენტში მიდის და იძახის, რომ ოკუპანტი პარლამენტი კრემლი არ არის, ცხადია, იმათი ადგილი არ იქნება ამ გაერთიანებაში! ისინი სრულიად სხვა ძალებს წარმოადგენენ და სრულიად სხვა ინტერესები აქვთ. აქ იქნება ის ხალხი, რომელსაც აინტერესებს საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერე. დღეს ჩვენ გვაქვს არაფორმალური მმართველობა, რაც სახელმწიფოს საფუძვლებს ანგრევს და აი, ეს უნდა დამთავრდეს.

***– კონსულტაციები მიმდინარეობსო ბრძანეთ და დაახლოებით რა ვადებში გამოიკვეთება გაერთიანებული ოპოზიციის კონტურები?***

– ჩვენ შიდა საუბრებში ეს კონტურები უკვე გამოკვეთილია. ჩემი აზრით, სადღაც მაისის პირველ რიცხვებში კიდევ უფრო მკაფიო ნაბიჯები უნდა გადაიდგას და ყველაფერი უნდა დამთავრდეს საერთო განცხადების გაკეთებით. რაც მალე, მით უკეთესი. ყოველ შემთხვევაში, საერთო კანდიდატი მაისის ბოლომდე უნდა დასახელდეს.

***– კანდიდატები თუ იკვეთება უკვე და რა სახით გამოავლენთ იმ ერთს?***

– კანდიდატები ძალიან ბევრია. მოგეხსენებათ, საქართველოში ძალიან უყვართ პირველობა და ყველას ეყოლება თავისი კანდიდატი, მაგრამ საუკეთესოს ამორჩევის კრიტერიუმებიც ძალიან მკაფიოა. ვნახოთ, ვინ იქნება საუკეთესო. ჯერ ამ კადრების გადარჩევა არ ყოფილა, უბრალოდ, კულუარული საუბრები მიმდინარეობს.

***– რამდენი პარტიის ერთობა შეიძლება შედგეს?***

– ვისურვებდი, რომ დაახლოებით 20 პარტია იყოს. ჯერჯერობით ამის ნახევარია. არის შეპირებები და ეს გადადის მეორე ათეულში. სრულიად შესაძლებელია, ავიდეთ ოცზე.

***– ასეთ შემთხვევაში რა შანსები აქვს ოპოზიციას?***

– ძალიან სერიოზული შანსები ექნება ძალიან დიდი წარმატების მიღწევის. ეს არ იქნება ჩემთვის ყოვლად მიუღებელი პირველი ოპოზიციის ტიტულის მოპოვება, ეს იქნება ბრძოლა ხელისუფლებისათვის! ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს ხელისუფლება და სწორედ ამიტომ ვარ ამ გაერთიანებაში!

# გოჩა მირცხულავა: „პატრიარქის მოსაყდრე შიო მუჯირი ლეგიტიმური არ არის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დებულების არათუ სისუსტედ, უდიდეს ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში არ არის დაკონკრეტებული მოსაყდრედ დადგენის წესი. აღწერილია მხოლოდ ვითარება და ქმედებები.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ვითარებას, როდესაც გადაწყვეტილება მოსაყდრესთან დაკავშირებით დებულების საფუძველზე მიიღება, ანუ აუცილებლობებზე ვსაუბრობ. პატრიარქს თავის განცხადებაში არ აღუნიშნავს, რომ იგი ამ გადაწყვეტილებას საკუთარი უძლურების გამო იღებდა. მაგრამ დააკვირდით უმნიშვნელოვანეს ფაქტორს – თუ არსებობდა გარდაუვალი აუცილებლობა მოსაყდრის გამორჩევისა, მაშინ რატომ არ მიენიჭა მოსაყდრეს დებულებით გათვალისწინებული უფლება: გადადგომის ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რომელიც შეუძლებელს ხდის კათოლიკოს-პატრიარქისათვის თავისი მოვალეობების შესრულებას, კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მართავს ეკლესიას ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე. რატომ არ მიეცაგადაეცა მეუფე შიოს დაუყოვნებლივ (უკვე მეხუთე თვეა) სინოდის მოწვევისა და საეკლესიო საქმეთა მართვა-გამგეობის უფლება?

დებულება არაფერს ამბობს მოსაყდრის კანონიკურ უფლებებზე. პროტოპრესვიტერის ან სხვა საეკლესიო სპიკერის მიერ გამოგონილი და ჰაერში მოფიქრებული თეზები აქ არ გამოდგება. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არ არის არანაირი სხვა დოკუმენტი, რომელშიც მოსაყდრის უფლება-მოვალეობები იქნება გაწერილი, იმის გარდა, დებულებაში რაც წერია. ხოლო დებულებაში გაწერილი „ფორმულა“ არანაირად შეესაბამება არსებულ რეალობას.

მოსაყდრის არალეგიტიმურობა და მისი გაურკვეველი უფლება-მოვალეობები ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ამჟამად მიმდინარე ტახტისთვის ბრძოლასა და კლანურ გადაჯგუფებებში. ეს არის დაპირისპირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც.

***– როგორც ამბობენ, ყველაზე მეტი შანსები მეუფე შიოს აქვს.***

– მე ასე ვერ ვიტყოდი. ვინმეს მოსაყდრედ დანიშვნა, თუნდაც, კანონიკური წესების დაცვით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ავტომატურად გახდება მომავალი პატრიარქი.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. 1925 წელს ბოლშევიკების საპყრობილიდან... 

ამის დასამტკიცებლად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. 1925 წელს ბოლშევიკების სატუსაღოდან ამნისტიით გამოსულმა კათოლიკოსმა ამბროსი ხელაიამ ტახტის მოსაყდრედ კალისტრატე ცინცაძე დაადგინა. ის დეკანოზობიდან ერთ დღეში გამოარჩიეს ეპისკოპოსად და მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. ამის მიზეზი იმ დროს საქართველოს ეკლესიაში შექმნილი მძიმე ვითარება იყო, მაგრამ კალისტრატე ცინცაძე საქართველოს ეკლესიის მეთაური მაშინ ვერ გახდა.

პატრიარქის ტახტი ეპისკოპოსმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა დაიკავა. კალისტრატე ცინცაძე მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გახდა საქართველოს პატრიარქი.

გვაქვს მეორე შემთხვევაც, როცა პატრიარქმა მელქისედეკმა მოსაყდრედ ეპისკოპოსი დავით დევდარიანი დატოვა, თუმცა 1960 წელს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ სიდამონიძე გახდა.

ახლა ისევ დებულებას დავუბრუნდეთ. დიდი გულისტკივილით და სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი გაუმართავი, ხარვეზიანი და არაკვალიფიციური დოკუმენტი ნამდვილად არ ეკადრება საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, მის ისტორიას და ის არანაირად არ პასუხობს სამომავლო გამოწვევებს.

საპატრიარქოს წარმომადგენლებსა და ცალკეულ მღვდელმთავრებს არ სურთ იმის აღიარება, რომ მრევლი, ნებისმიერი მართლმადიდებელი ქრისტიანი, სასულიერო რანგის მატარებელია და წარმოადგენს დაბალ სასულიერო იერარქს. შესაბამისად, მას აქვს თავისი უფლებები.

საქართველოს ეკლესიაში აუცილებელია დაიწყოს რეფორმები და ამისთვის სულაც არ არის საჭირო ახალი კათოლიკოს-პატრიარქი. ილია II ძალიან ადეკვატური და პროგრესულია.

სხვა მედიასაშუალებებთანაც ვთქვი და აქაც გავიმეორებ, რომ ამ ვითარებაში აუცილებელია, საზოგადოებამ, საეკლესიო იერარქებმაც მოვითხოვოთ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შემდეგი მიმართულებით:

1. დაუყოვნებლივ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, სადაც შევლენ სასულიერო იერარქები, კვალიფიციური იურისტები და საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის მქონე პირები, რომლებსაც განესაზღვრებათ კონკრეტული ვადა (არაუმეტეს ერთი თვისა) მართვა-გამგეობის ახალი დებულების შესამუშავებლად;

2. შეიცვალოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის წესი. საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებას ამ ასპექტში განესაზღვროს კონკრეტული უფლებამოსილება და გაიზარდოს მასში საერო პირების ჩართულობა;

3. დადგინდეს საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებაში საერო პირების მონაწილეობის ახალი წესი. კრებაში მონაწილეობის უფლება აეკრძალოთ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში რაიმე სახის პარტიულ-ნომენკლატურულ თანამდებობებზე მყოფ პირებს, ასევე მოქმედი პოლიტიკური პარტიების წევრებსა და ლიდერებს;

4 დაუყოვნებლივ ჩასწორდეს დებულებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ამის აღნიშვნა, დებულებაში არსად არის მითითებული, რომ პატრიარქი, ამავე დროს, არის მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა.

5. დაუყოვნებლივ და რეალურად განხორციელდეს ამჟამად მოქმედი დებულების შემდეგი მოთხოვნა: საქართველოს საპატრიარქო, მისი განყოფილებები, დაწესებულებები, ეპარქიები, სამრევლოები, მონასტრები, სასულიერო სასწავლებლები და საზღვარგარეთ მყოფი სამრევლოები და დაწესებულებები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით;

6. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებული ეკლესია-მონასტრები, ასევე ქონება, არის ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და წარმოადგენს კულტურული თუ მატერიალური მემკვიდრეობის საგანძურს, აუცილებელია, სინოდმა მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიტეტული საერთაშორისი აუდიტორული კომპანიის მოწვევისა შესაბამისი აღრიცხვის ჩასატარებლად;

7. ეკლესიის კუთვნილი ქონების განკარგვის მიზნით შეიქმნას ავტორიტეტული სამეთვალყურეო საბჭო სასულიერო და საერო პირების მონაწილეობით.

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი ივანიშვილი უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, მართლაც მიზერულია თუ არა პრეზიდენტის უფლებამოსილებები და რა გავლენა ექნება ახლად არჩეულ პრეზიდენტს სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე.



***– ბატონო ავთანდილ, არც ერთ პარტიას საპრეზიდენტო კანდიდატი ჯერ არ წარმოუდგენია. როგორ ფიქრობთ, რატომ?***

– პირველი, წინასაარჩევნო კამპანიას პარტიები დაახლოებით სექტემბრისთვის დაიწყებენ, ამიტომ ჯერ ადრეა კანდიდატის დასახელება. ამდენად, პარტიებს სექტემბრამდე დრო აქვთ. მეორე, ყველა ფიქრობს, რომ პრეზიდენტს აღარ აქვს უფლებები, რომ მისი გავლენა სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე მინიმალური იქნება, რაც ასევე აყოვნებს კანდიდატის შერჩევის თუ ოფიციალურად დასახელებას. კიდევ, რაც აყოვნებს ამ პროცესს, არის ის, რომ ოპოზიციაში არ არსებობს პოზიცია იმის თაობაზე, რომ ერთიან კანდიდატზე შეძლებენ შეთანხმებას თუ ვერ შეძლებენ.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იქ უკვე გარკვეული მოსაზრებები არის და გადამწყვეტ შეხვედრას ელოდებიან, გასაგებია ვისთანაც.

***– თქვენი ინფორმაციით, კვირიკაშვილზეა საუბარი?***

– არა მხოლოდ. საუბარია უმრავლესობის ლიდერზეც და კიდევ ერთი პოზიციაა, რომელსაც უმრავლესობა არ ეთანხმება. საუბარია პარტიის გარეთ კანდიდატზე ანუ ნეიტრალურ ფიგურაზე. გვარებს ვერ დავასახელებ.

***– თითქოს სალომე ზურაბიშვილზე იყო საუბარი.***

– დიახ, მაგრამ მას ორმაგი მოქალაქეობა ხელს შეუშლის, ბინადრობის ცენზიც არის, თუმცა, ეს გადალახვადი პრობლემაა.

შემიძლია ჩემი მოსაზრება გითხრათ, მე ვთვლი, რომ კარგი იქნება თუ პრეზიდენტობის კანდიდატი ივანიშვილი გახდება. მას, მისი ავტორიტეტიდან, გავლენიდან გამომდინარე, შეეძლება სტაბილური სახელმწიფოს ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

***– შეიძლება უფლებამოსილებებიდან გამომდინარე არც დათანხმდეს. კონსტიტუციის ახალი რედაქციით, რა ტიპის პრეზიდენტს ვირჩევთ, მართლაც ასეთი მიზერულია მისი უფლებამოსილებები?***

– რაც შეეხება უფლებამოსილებებს: არსებობს იურიდიული კანონი, კონსტიტუცია და არსებობს ე.წ. ცოცხალი კონსტიტუცია. ყველაფერი დამოკიდებულია პიროვნებაზე, პრეზიდენტზე. შესაძლებელია ივანიშვილის ავტორიტეტის გათვალისწინებით, მან მოახდინოს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირება მისთვის სასურველ რეჟიმში, ქვეყნისთვის სასურველ რეჟიმში.

***– ბატონო ავთანდილ, პოლიტოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ივანიშვილს ახლა სდებენ ბრალს არაფორმალურ მმართველობაში და კონსტიტუციით განკუთვნილ ძალაუფლებაზე მეტს თუ გამოიყენებს, რა დღეში ჩააგდებენ მას ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები. როგორია თქვენი არგუმენტი ამაზე?***

– ძალიან ძლიერი და ძალიან დამაჯერებელი: სწორედ იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და ის არ იყოს არაფორმალურ მართვაში ბრალდებული, ის უნდა გახდეს ფორმალურ-იურიდიული პირი. რაც შეეხება კონსტიტუციის დარღვევას, რატომ ჰგონია ვინმეს, რომ ამისთვის საჭიროა კონსტიტუციის დარღვევა?! ჩვეულებრივი შეთანხმების მექანიზმები არსებობს, რომელიც პოლიტიკაში მუშაობს, ეს არის და ეს. ამ შემთხვევაში ეს არავითარი კონსტიტუციის დარღვევა არ არის. ის არ გამოსცემს ბრძანებას, რომელიც ვალდებულებაა. ივანიშვილს, კონსტიტუციის დარღვევის გარეშე, შეუძლია სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება.

***– ხშირად ამბობენ, რომ სიმბოლურია პრეზიდენტის უფლებამოსილებები, ლამის აეროპორტში უცხოელი დელეგაციების დამხვედრის დონეზეა დაქვეითებული ახალი რედაქციით პრეზიდენტის უფლებები. ასეა?***

– ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გიპასუხოთ ამ კითხვაზე – არა! შემიძლია კონკრეტული მიმართულებები ჩამოვთვალო. მაგალითად: საკანონმდებლო სფეროში, მართალია მას კანონპროექტის პირდაპირი წარდგენის უფლებამოსილება არ გააჩნია, მაგრამ მას ირიბად ამის შესაძლებლობაც აქვს. ასევე, მას რჩება ვეტოს გამოყენების უფლება. მარგველაშვილის ვეტოები ცნობილია, მართალია, მის მიერ გამოყენებულ ვეტოებს შემაკავებელი როლი არ უთამაშია, რადგან ყველა ვეტო იქნა გადალახული პარლამენტის მიერ, მაგრამ საზოგადოებაში გაჩნდა მოლოდინი, რომ თურმე არსებობს სხვა მიმართულებებიც კანონის მიღებისა, რამაც შეიძლება გარკვეული უნდობლობაც კი გამოიწვიოს იმ კანონისა თუ მისი მიმღების მიმართ. ერთი სიტყვით, გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა აქვს ვეტოს ყველაფერთან ერთად. ნორმატიული აქტის მიღების დროს პრეზიდენტს შეუძლია თავისი დამოუკიდებელი აზრის გამოხატვა. მართალია, მას ხშირ შემთხვევაში პრემიერის კონტრასიგნაცია სჭირდება, მაგრამ არის ნორმატიული აქტები, სადაც ის თავის დამოუკიდებელ აზრს აფიქსირებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, არ არის გამორიცხული, რომ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შევიდეს ცვლილება და ეროვნული უშიშროების საბჭო კვლავ იყოს ინსტიტუციურად დაკანონებული. მე ვთვლი, რომ არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ეროვნული უშიშროების საბჭო ნამდვილად საჭიროა. წარმოიდგინეთ, დღეს არ არსებობს ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს პირველ პირებს საჭიროების შემთხვევაში გააერთიანებს.

აღმასრულებელ ნაწილში მას, რასაკვირველია, ნაკლები უფლებამოსილებები აქვს, მაგრამ საგანგებო–საომარი მდგომარეობის დროს, პრეზიდენტი ქვეყნის მთავარსარდალია და შეუძლია მთავრობის ფორმირებაზეც გარკვეული გავლენა მოახდინოს.

***– შეწყალების უფლება რჩება?***

– რა თქმა უნდა, რჩება. ასევე რჩება მოქალაქეობის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის უფლებაც.

***– ელჩების დანიშვნის უფლება?***

– მხოლოდ მთავრობის წარდგინებით ნიშნავს ელჩებს.

***– ასაკობრივი ცენზი?***

– არანაკლებ 35 წლის უნდა იყოს. მომდევნო პრეზიდენტი კი არანაკლებ 40 წლისა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახლა პრეზიდენტს არა 5 წლის ვადით, არამედ 6 წლით ვირჩევთ.

***– თანაც ბოლო პირდაპირი არჩევნებია.***

– მე არა მგონია, რომ ბოლო პირდაპირი არჩევნებია. მე მაინც მგონია, რომ კვლავ შევა კონსტიტუციაში ცვლილება და კვლავ პირდაპირი წესით ავირჩევთ პრეზიდენტს, რადგან ხალხის განწყობა ასეთია. ისე, ცხადია, თქვენ სწორად აღნიშნეთ, მოქმედი კონსტიტუციით ბოლო პირდაპირი არჩევნებია, შემდეგ პრეზიდენტს 300 ხმოსანი აირჩევს და არ ხალხი.

კვლავ უფლებამოსილებებს რომ დავუბრუნდეთ, ეს არ არის მცირედი უფლებამოსილებები და ეს არ არის სიმბოლური პრეზიდენტი. პლუს პიროვნებაზეც არის დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს თავის ფუნქციებს. თუ პრეზიდენტი და უმრავლესობა ერთსა და იმავე სპექტრს წარმოადგენენ, მაშინ ჩათვალეთ, რომ პროცესებს პრეზიდენტი წარმართავს, რაც კონსტიტუციას არანაირად არ დაარღვევს. თუ განსხვავებული პოლიტიკური კუთვნილებისა არიან, მაშინ იგი სუსტი პრეზიდენტი იქნება.

თუ ბიძინა ივანიშვილი გახდა პრეზიდენტი, იგი ძლიერი პრეზიდენტი იქნება, მიუხედავად იმისა, რა წერია კონსტიტუციაში.

# დავით ლორთქიფანიძე: „კარგია, „ოცნებაში“ ყველა ერთ აზრზე რომ არ არის“

პარლამენტის ყოფილი წევრი, „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში იმ პოზიციაზე რომ ყოფილიყო, რა პოზიციაზეც იყო თავის დროზე, დარწმუნებულია, ახლა მას რაღაცებს რომ აბრალებენ, ის ბრალდებები არ იქნებოდა.

გულიკო ბალაძე



– თუ ბიძინა ივანიშვილი იქნებოდა მართვის სადავეებთან, ის პრობლემები, რაც ახლა გუნდში ჩანს, არ გამოჩნდებოდა. ის აქტიურად უნდა ერეოდეს პრობლემების გადაჭრაში, – აცხადებს დავით ლორთქიფანიძე.

***– ბატონო დავით, ახლახან საზოგადოებამ იხილა პარლამენტის უმრავლესობაში წარმოშობილი დაპირისპირება, გარკვეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიხატა. ზოგადად, როგორი მდგომარეობაა პარტიაში, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით? პარლამენტის უმრავლესობაში წარმოშობილი დაპირისპირება პარტიაზე ხომ არ აისახება?***

– თვითონ პროცესი, რომ გუნდში ყველას ერთ აზრი არ აქვს, ცუდი არ არის, მაგრამ როდესაც საკითხი საზოგადოების სამსჯავროზე გამოდის და ღიად ჩანს დაპირისპირება, აუცილებელია შეკრება, შეხვედრა, სადაც ყველაფერი ითქმება. პარლამენტის წევრები არიან ადამიანები, რომლებსაც თავისი ამომრჩევლის წინაშე ბევრად მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ. ამიტომ ვფიქრობ, ჩვენი მოსახლეობა პასუხს წარმოშობილ კითხვებზე ელოდება. გუნდის შიგნით გაუგებრობა მალე უნდა იქნას აღმოფხვრილი, რომ მავანს ჭორების აგორების საშუალება არ მიეცეს. ამიტომ მალე უნდა მოხდეს ამ საკითხების გარკვევა, რადგან მსგავსი პროცესი დადებითად ქვეყნის იმიჯზეც არ მოქმედებს.

***– თქვენი აზრით, კითხვის ნიშნები რაზეა? თქვენ როგორ აღიქვით პარტიის შიგნით წინააღმდეგობა? რამ წარმოშვა დაპირისპირება?***

– პარლამენტის წევრი გამოდის და აქცენტებს აკეთებს კოლექტიურ ზარდიაშვილებზე, პარლამენტის სხვა წევრი ამბობს, თუ ეს შეხვედრა არ ჩატარდება, ვიტყვით, რომ ხელოვნურად ხდება შეხვედრის დროის გადაწევა, რათა ვნებები დაცხრეს; თუ ასე არ მოხდება, ჩვენ სხვაგვარად დავინახავთ მოვლენებს და სხვაგვარად ვიმოქმედებთო. პირობითად მეორე მხარემ თქვა, ყველაფერი უნდა იქნას განხილული. რომ ვთქვათ, არაფერი არ ხდება და არაფერი არ მომხდარაო, ამის თქმა ჩვენი მოსახლეობის შეურაცხყოფა იქნება. ჩვენს ელექტორატს, მოსახლეობას მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ და მოსახლეობას კითხვის ნიშნები არ უნდა დავუტოვოთ. ასე ვფიქრობ და ასე ვიცხოვრე დღემდე.

***– მათ განცხადებებში ულტიმატუმი ამოიკითხეთ?***

– დასამალი რა არის, ეს ნუკრი ქანთარიამ თქვა. ზაქარია ქუცნაშვილმა თქვა, ვინც არ ვერევით ე.წ. კონფლიქტში (მე ვიტყოდი ამ გაურკვევლობაში) ბევრად მეტნი ვართ და ბევრად მეტი დამსახურება გვაქვს იმ გამარჯვებაში, რაც ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით 2012 წელს მოვიპოვეთ. სხვებიც აფიქსირებენ თავის პოზიციას. ამ ადამიანებს აქვთ დამსახურება. ამომრჩეველი, რომელმაც მხარი დაუჭირა პარტიას 2012, 2014, 2016 წლებში, წარმოშობილ კითხვებზე პასუხს იმსახურებს.

***– დღეს წარსულიდან მაგალითები მოჰყავთ, დღემდე ხელისუფლებაში მყოფი პარტიები როგორ წავიდნენ ხელისუფლებიდან და დაიშალნენ. ამბობენ, „მრგვალი მაგიდა“ დაიშალა (ისე, მრგვალი მაგიდა ძალადობით გაუშვეს ხელისუფლებიდან), მოქკავშირი დაიშალა, ნაცმოძრაობა დაიშალა და „ქართული ოცნებაც“ დაიშლებაო. ასეთი ინტერპრეტაციები მოჰყვა პარლამენტის უმრავლესობაში არსებულ დაპირისპირებებს, ანუ დაშლის დასაწყისად მიიჩნიეს. თქვენ როგორ უყურებთ ამ პროცესს და პარტიის მომავალს როგორ ხედავთ?***

– მოქკავშირისა და ნაცმოძრაობის დაშლა არ ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნებაც“ შეიძლება დაიშალოს. „ქართულ ოცნებაში“ საკმაოდ სერიოზული პოტენციალია იმისა, პარტია გაძლიერდეს და წლების განმავლობაში წამმართველი პოლიტიკური ძალა იყოს, მაგრამ პროცესები ჯანსაღად უნდა განვითარდეს. ყველა დონეზე ღირსეული ადამიანების დაბრუნება და პარტიულ პროცესებში მათი ინტეგრაცია უნდა მოხდეს. თუ ასე იქნება, დაშლის საშიშროება არ გვექნება. დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებას“ აქვს საშუალება, არ გაიზიაროს „მრგვალი მაგიდის“, მოქკავშირისა და ნაცმოძრაობის ბედი. თუ ადამიანები მაქსიმალურად არ იქნებიან დაფასებული და ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, პარტიის დაშლა გარდაუვალი იქნება.

***– თუ „ქართული ოცნება“ მმართველი პარტია არ იქნება, დაშლა გამორიცხულია? ნორმალურ ვითარებაში პარტია შეიძლება არ იყოს ხელისუფლებაში, მაგრამ ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებოდეს. მაგალითად, ნაცმოძრაობა აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადება და 2020 წლის არჩევნები ეიმედება. ნაცებს ამის შანსი აქვთ?***

– ეს მათი პრობლემაა, მაგრამ მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობა ამას არ დაუშვებს. პარტიის დაშლა ნიშნავს, პარტიის პოლიტიკური არენიდან გაქრობას. აპრიორი, პარტია „ქართული ოცნება“ დაიშლება და გაქრება პოლიტიკური რუკიდანო, ამის პერსპექტივას ვერ ვხედავ

***– ეს დაპირისპირება ახლანდელი საპრეზიდენტო არჩევნების, ან 2020 წლის მოახლოებასთან ხომ არ არის დაკავშირებული? ზოგიერთი ვარაუდობს, რომ 2020 წლისთვის ოცნების გუნდი ვერ დარჩება. ამის გამო შიდა ბრძოლები ხომ არ არის?***

– საკითხის ასე დაყენება, რომ „ქართული ოცნების“ არსებული გუნდი ვერ დარჩება,სწორად არ მიმაჩნია. რას გულისხმობთ ფრაზაში, გუნდი არჩევნებზე ვერ გავაო. თუ იმას გულისხმობთ, რომ იგივე პერსონები არ იქნებიან, რა თქმა უნდა, ასეა. დღეს არსებული გუნდის განახლება მოხდება. განახლების შემთხვევაში ახალი სახეები შემოვლენ. ვფიქრობ, დღის წესრიგში დადგება ძველი სახეების დაბრუნება საკანონმდებლო ორგანოში, „ქართული ოცნების“ სადავეებთან.

***– ძველ სახეებში, კონკრეტულად, ვის გულისხმობთ?***

– პერსონიფიცირებას არ მოვყვები. ამომრჩევლებისთვის ყველაფერი დღესავით ნათელია. ყველამ კარგად იცის, რეჟიმის წინააღმდეგ ადამიანები წინა ხაზზე როგორ იბრძოდნენ. გამარჯვების შემდეგ ადამიანები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ამიტომ, რა თქმა უნდა, დღის წესრიგში დადგება გუნდის გადახალისება, ახალი ადამიანების შემოყვანა, ძველი, გამოცდილი ადამიანების დაბრუნება. მხოლოდ საკანონმდებლო

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# თამარ ჩხეიძე: „პატრიოტთა ალიანსი ახმოვანებს იმას, რის თქმასაც ვერ ბედავს „ქართული ოცნება“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს კიდევ ერთხელ გააქტიურდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების თემა. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი რუსეთთან დასალაპარაკებლად საპარლამენტო სტატუსს მოითხოვს, მისი ოპონენტები მიუღებლად მიიჩნევენ ალიანსის წარმომადგენლების რუსეთში სიარულს. როგორ იქცევა ამ სიტუაციაში მმართველი პარტია? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

**თამარ ჩხეიძე:**

— პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში „ქართულმა ოცნებამ“ შეიყვანა. ივანიშვილის ხელისუფლებას ეს ხალხი სჭირდება, მათ შორის, რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებზე. პატრიოტთა ალიანსი ახმოვანებს იმას, რის თქმასაც ვერ ბედავს „ქართული ოცნება“. პატრიოტთა ალიანსი რუსეთშიც დადის. მისი წარმომადგენლები აყენებენ საშიშ ანტისახელმწიფოებრივ იდეებს. გაუთვითცნობიერებელ ადამიანს ეს იდეები პოზიტიურად ეჩვენება. გათვითცნობიერებულებმა იციან, რომ ესაა ფუნდამენტური შეხედულებები, რომელთა დამკვიდრებასაც რუსეთი დიდი ხანია ცდილობს.

***— კერძოდ?***

— მთავარი გზავნილი და მოთხოვნა აფხაზურ და ოსურ მხარეებთან დალაპარაკებაა. ეს ერთი შეხედვით უწყინარი წინადადება მოიცავს კონფლიქტის არსს. ამ იდეებით, რუსეთის, როგორც ოკუპანტის, როლი იჩქმალება და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ქართველებს კონფლიქტი გვაქვს აფხაზებთან და ოსებთან. მას შემდეგ, რაც ამ თემაზე ბევრი იხმაურა ამ პარტიამ, იგივე გზავნილები გაჩნდა პრემიერის მიმართვაში. პატრიოტთა ალიანსი ახდენს ამა თუ იმ თემის ტესტირებას საზოგადოებაში.

***— ამ საკითხზე როგორი რეაქცია ჰქონდა საზოგადოებას?***

— ღვთის წყალობით, საზოგადოება პრორუსულ განწყობებზე არ დადგა და არც პრემიერის მიმართვას მიესალმა. გიორგი კვირიკაშვილმა რუსეთის ხელისუფლებას წერილი მისწერა მაშინ, როცა არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი ცხინვალში ესვენა. ამ შემზარავმა მკვლელობამ ქვეყნისთვის სასარგებლოდ იმოქმედა. თუმცა, გათვლა იყო იმაზე, რომ ეს მიმართვა გამოუვალ სიტუაციაში გაკეთდა და ხალხი მას მოიწონებდა. რუსეთი ამაზე იმედს ამყარებდა. პატრიოტთა ალიანსმა თავისი განცხადებებით საზოგადოებაზე ვერ იმოქმედა.

***— საზოგადოებაში არიან რუსეთის მომხრეები..***

— სამწუხაროდ, არიან. მათი რაოდენობა არც ისე მცირეა. ხალხი არ უნდა შეცდეს. სულ უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი შემოიჭრა საქართველოში და წაგვართვა ტერიტორიები. კონფლიქტის მხარე რუსეთია და არა — სოხუმი და ცხინვალი. რუსეთმა გამოიყენა ანტიქართულად განწყობილი აფხაზები და ოსები. მათ ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ. ამ დამნაშავეებთან, რუსეთის მარიონეტ მოხელეებთან სალაპარაკო არაფერი გვაქვს, თორემ, აფხაზ და ოს ხალხს უნდა ვესაუბროთ. ჩვენ მათ ხელი უნდა შევუწყოთ მკურნალობაში, ქართული პასპორტებით საზღვარგარეთ წასვლაში, განათლების მიღებაში და სხვა. რუსული ოკუპაციის თემის დავიწყება და აფხაზურ და ოსურ რეჟიმებთან დიალოგის წინ წამოწევა რუსეთის დაკვეთაა.

***— ამ საკითხებზე „ქართულ ოცნებაში“ აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება?***

— ბოლო დროს „ქართულ ოცნებაში“ არეულობაა. დეტალურად, რა ხდება, არ ვიცი. ლოგიკით, პარტიის შიგნით დაპირისპირება უნდა დაიწყოს მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი ჩამოსცილდება პარტიას. რაც შეეხება ამ საკითხებს — პრემიერ-მინისტრმა რუსეთის ხელისუფლებას მიმართა წერილით, რომელიც ეწინააღმდეგება პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას. მაინც არა მგონია, რომ მმართველ პარტიაში ამ



საკითხებზე დაპირისპირება იყოს. არ გამოვრიცხავ, რომ ამ რეზოლუციას თავისი დანიშნულება ჰქონდა. იმ პერიოდში იგეგმებოდა ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი. გავრცელდა სარწმუნო ინფორმაცია იმაზე, რომ ჩვენს დელეგაციას იქ უნდა შეესრულებინა რუსეთის დაკვეთა, რომელიც კონფლიქტების მხარეებად ცნობდა აფხაზებსა და ოსებს. რეზოლუციას ეს ღალატი უნდა გადაეფარა. კიდევ კარგი, ეს ჩანაფიქრი არ შესრულდა. პარლამენტის რეზოლუციამ, ნებსით თუ უნებლიეთ, ასახა საზოგადოების განწყობა, რომელიც შეიქმნა არჩილ ტატუნაშვილის მოკვლის შემდეგ. ადრეც მომხდარა მძიმე დანაშაულები, მაგრამ ხალხი არ დარაზმულა. ახლა ეს მოხდა. არჩილ ტატუნაშვილი ამ მხრივაც გმირია.

***— რუსული პროპაგანდის ნიშნები თვალსაჩინოა საქართველოში?***

— რუსეთის ძველი, საბჭოთა დროინდელი აგენტების დიდი ნაწილი ცოცხალი აღარაა. თუმცა, კრემლი ახერხებს ახალი სახეების გადაბირებას. რუსეთს კარგად აქვს შესწავლილი ქართველების მენტალიტეტი, აქაური მდგომარეობა და ის თავის საცეცებს ისევ ოსტატურად იყენებს საქართველოში. ჩვენი ტელევიზიებით ხშირად გადმოიცემა რუსული ნარატივი, ხდება რუსული გზავნილების გავრცელება. ამას აკეთებენ გადაცემების სტუმრები. საუბედუროდ, ამას ხელს უწყობს მძიმე სოციალური ფონი.

***— ადამიანს რატომ უნდა გაუჩნდეს იმის მოლოდინი, რომ სოციალურ მდგომარეობას რუსეთი გააუმჯობესებს?***

— მართლაც, არ უნდა გაჩნდეს ამის მოლოდინი და რუსეთის მომხრეობა პათოლოგიად უნდა ჩაითვალოს. რუსეთს თვითონ აქვს მძიმე მდგომარეობა. საბჭოთა კავშირიც არ იყო კეთილდღეობის ოაზისი. დღევანდელი რუსეთი ის საბჭოთა კავშირიც არ არის. კეთილდღეობა და სოციალური უზრუნველყოფა ნამდვილმა თავისუფალმა ეკონომიკამ და დემოკრატიამ, ანუ დასავლეთთან ყოფნამ უნდა მოგვიტანოს. ჩვენთან მოვლენები ისე განვითარდა, საბჭოთა ცუდი ყოფა უკეთესი პირობებით ვერ ჩავანაცვლეთ. გაუმჯობესება ვერ მივიღეთ. ამან შექმნა ნოყიერი ნიადაგი რუსული პროპაგანდისათვის. ადამიანები არ აანალიზებენ იმას, რაც მოხდა და მიამიტად მისტირიან საბჭოთა კავშირს და მაშინდელ სოციალურ მდგომარეობას. ამ თემატიკის გარდა, რუსეთი პროპაგანდისათვის იყენებს სხვა მიმართულებას.

***— რომელ მიმართულებას?***

— ძირითადად, ჰომოსექსუალიზმის თემატიკას. პროპაგანდის შინაარსი ასეთია — დასავლეთი ნერგავს ჰომოსექსუალიზმს და ეწინააღმდეგება ტრადიციებს. ამაში რუსეთს მოკავშირედ ევლინება ე. წ. ლიბერალური ორგანიზაციების საგრძნობი ნაწილი. ისინი ერთად დამახინჯებულ ინფორმაციას ავრცელებენ. ამ დროს რუსეთში ჰომოსექსუალების რაოდენობა დიდია, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მათ მხარს არ უჭერს. ისტორიულად, საქართველოს სერიოზული შეხება ჰეტეროსექსუალიზმიდან გადახვევის მხრივ სწორედ რუსი უფლისწულის მეშვეობით ჰქონდა.

## „უცხოელების მფლობელობაში არსებული 50 ათასი ჰექტარი მიწიდან 12 ათასია დამუშავებული“

საქართველოში 45-დან 50 ათას ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა უცხოელების საკუთრებაა, საიდანაც 12 ათასი ჰექტარია დამუშავებული. ამის შესახებ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ თქვა. ინფორმაციას 1ტვ ავრცელებს.

დანელიას შეფასებით, ეს საგანგაშო სტატისტიკაა.

— უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირებთან მიმართებით, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ფლობენ, მაგრამ საკუთრებაში არსებული მიწა ნანახიც კი არ აქვთ, პარლამენტი სანქციებთან დაკავშირებით მუშაობს. საკომიტეტო მოსმენებზე ვიმსჯელებთ, რათა კანონპროექტს საბოლოო სახე მიეცეს, მაგრამ ფაქტი სახეზეა, რომ ჩვენ პრობლემა გვაქვს, — განაცხადა დანელიამ.

ოთარ დანელიას შეფასებით, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებაში უცხოელი ინვესტორები რეალურად არ არსებობენ, ან ძალიან მცირე რაოდენობით არიან, ადგილობრივი ინვესტიციები კი გაცილებით მეტია.

ცნობილი გახდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლოა გარკვეული სანქციები დაეკისროთ. მიწებთან დაკავშირებულ მორატორიუმში შესაძლოა ცვლილებები შევიდეს, რომელიც შემდეგ კანონშიც აისახება. ცვლილებების მიხედვით, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორის კომერციულ ბანკებს, შეეძლებათ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაცია, მათი შემდგომი გასხვისების მიზნით.

კანონპროექტის ინიცირება საკანონმდებლო ორგანოში 30 აპრილს იგეგმება. გასული წლის 16 ივნისს უცხოელებისთვის მიწების გასხვისებაზე პარლამენტმა მორატორიუმი დააწესა.

## გამყოფი ხაზების გასწვრივ მოვაჭრე პირებისთვის შეღავათები დაწესდება

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღების ახალი შესაძლებლობებისთვის კანონპროექტი მზადდება.



— საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები შედის. ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო პირად ნომერს მიანიჭებს იმ პირებს, რომლებიც ლეგიტიმურად ცხოვრობენ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში.

პირადი ნომრის მინიჭება ასეთ პირებს მისცემს შესაძლებლობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ისარგებლონ საქართველოს მოქალაქეთათვის გათვალისწინებული სხვადასხვა სერვისებით. მათ შორის, სპეციალური საწარმოს სტატუსის მიღებისა და გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის შესაძლებლობას. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირებზე გავრცელდება დაბეგვრის შეღავათიანი წესებიც.

— წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვის სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ, ისარგებლონ გადამხდელის სპეციალური სტატუსით (სპეციალური საწარმოს სტატუსით) ან გადამხდელის სპეციალური სტატუსის მინიჭების გარეშე დარეგისტრირდნენ ჩვეულებრივ გადამხდელებად. გადამხდელის სპეციალური სტატუსის მინიჭების მოთხოვნა შეეძლებათ საქართველოს მოქალაქეს, ნეიტრალური დოკუმენტების მქონე პირს, პირადი ნომრით რეგისტრირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომლებიც განახორციელებენ სავაჭრო ოპერაციებს გამყოფი ხაზის გასწვრივ საგადასახადო შეღავათებით და იმოქმედებენ გადამხდელის სპეციალური სტატუსით განსაზღვრული უფლებებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, — ნათქვამია „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

## დავით ლორთქიფანიძე: „კარგია, „ოცნებაში“ ყველა ერთ აზრზე რომ არ არის“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ორგანოზე არ არის საუბარი. საუბარია მუნიციპალიტეტების, რაიონების დონეზე, საკრებულოებში ცვლილებებზე. ადამიანები ამას ღიად ითხოვენ.

***— ადამიანები ღიად ითხოვენ ცვლილებებს და რეგიონებშიც პრობლემები სულ არის, მაგრამ მთავარია, მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე როგორი კადრები გვყავს. პარტიამ გადაწყვეტილება მიიღო, ვის წარადგენს პრეზიდენტად?***

— გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ერთ თვეში კანდიდატურა დასახელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ არჩევნებზე გასვლა იოლი გასეირნება არ იქნება, რადგან კონკურენცია დიდია. ამიტომ საპრეზიდენტო კანდიდატმა სრულფასოვანი კამპანია უნდა ჩაატაროს. კანდიდატურის დასახელება ჩემგან უხერხული იქნება.

***— ბოლო რამდენიმე დღეა ხმაურიანი პარტიული კონფერენციები ტარდება. ამ შემთხვევაში პარტიული კონფერენციების ჩატარება რას ემსახურება?***

— რაიონული კონფერენციები ტარდება. მეორე დეკადაში პარტიის ყრილობა ჩატარდება. კონფერენციებზე პარტიის ადგილობრივ ორგანოებში ბიუროს წევრების და პარტიის ყრილობისთვის დელეგატების არჩევა მოხდება. ყრილობაზე მუშაობის შეჯამება ხდება.

***— როცა ჩნდება პრობლემები ხელისუფლებაში პარლამენტის უმრავლესობასა და პარტიაში, მაშინვე იწყება საუბარი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების საჭიროებაზე. ამის თაობაზე განცხადებები ახლაც მოვისმინე. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება მოსალოდნელია?***

— როცა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა, პარლამენტის ერთადერთი წევრი ვიყავი, ვინც განცხადება გავაკეთე, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან არ უნდა წასულიყო, მე დღესაც იმ აზრზე ვარ — ქართველმა ხალხმა ნდობა გამოუცადა ჩვენს გუნდს ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით. ახლა არ ვამბობ, რომ აუცილებელია ბიძინა ივანიშვილის თანამდებობაზე დაბრუნება, მაგრამ ვფიქრობ, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად უნდა იყოს ჩართული.

***— ბიძინა ივანიშვილის ჩართვა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რას შეცვლის?***

— 2012 წლის ცვლილებების განხორციელებაში ბიძინა ივანიშვილის დამსახურება დიდია. ამას ვერავინ უარყოფს. ჩემი აზრით, მის სიტყვას აქვს წონა და ის აქტიურად უნდა ერეოდეს პრობლემების გადაჭრაში. თუმცა, საკითხის ერთი მხარეა, მე რას ვფიქრობ. მეორე მხარეა, თვითონ როგორ უნდა. მე არ ვიცი, ის რას ფიქრობს. მე ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ადრე წავიდა.

***— ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში ისევ რომ ყოფილიყო, გუნდის შიგნით არეულობები და წინააღმდეგობები იქნებოდა?***

— ბიძინა ივანიშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში იმ პოზიციაზე, რა პოზიციაზეც იყო, დარწმუნებული ვარ, ახლა მას რაღაცებს რომ აბრალებენ, ის ბრალდებები არ იქნებოდა. თუ ბიძინა ივანიშვილი იქნებოდა მართვის სადავეებთან, ის პრობლემები, რაც ახლა ჩანს გუნდში, არ გამოჩნდებოდა.

***— როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა თანდათან დისტანცირება მოახდინა „ქართული ოცნებისაგან“, დეპუტატებმა იგრძნეს, რომ ბიძინა ივანიშვილისგან დისტანცირებულნი არიან და ახლა თავიანთ პოლიტიკურ კაპიტალზე დაყრდნობით უნდა იბრძოლონ პოლიტიკაში კვლავ დასარჩენად.***

— ბიძინა ივანიშვილს ვერავინ დაუშლის პოლიტიკაში მონაწილეობას. თუ ბიძინა ივანიშვილი იქნებოდა პოლიტიკაში, გუნდის შიგნით აფეთქება დღის წესრიგში არ დადგებოდა. ახლა დამოუკიდებელი ინდივიდი ცდილობს, თავისი პოლიტიკური მომავალი რაღაცნაირად უზრუნველყოს. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. მთავარია, საზოგადოებისთვის იყოს მისაღები. თუ პიროვნება საზოგადოებისთვის მისაღები არ იქნება, ის ვერაფერს მიაღწევს. აუცილებელია, გუნდი თავის სიმაღლეზე იყოს და გუნდის შიგნით წარმოშობილი პრობლემები გუნდის შიგნითვე მოგვარდება. ადამიანს ჯანსაღი ამბიცია რომ ჰქონდეს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

# ნავთობკომპანიები საწვავს მოსახლეობაზე 35 თეთრით უფრო ძვირად ყიდიან, ვიდრე სახელმწიფოზე

მხოლოდ ერთი ლიტრი საწვავიდან გალფი 30 თეთრს იგებს.

საწვავის ბაზარზე არსებულ ხარვეზებსა და არაჯანსაღ გარემოზე უკვე წლებია საუბრობენ ეკონომისტები თუ დარგის ექსპერტები. ნავთობკომპანიები მათ მიმართ გამოთქმულ კრიტიკას, როგორც წესი, არ ეთანხმებიან, მეტიც, მათი ლობისტები ხშირად აცხადებენ, რომ კომპანიები მიზერულ მოგებაზე მუშაობენ და ბაზარზე სავსებით ჯანსაღი კონკურენციაა. გარკვეულწილად, ამის ნათელი მაგალითი უნდა იყოს დღეს არსებული მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო ბირჟებზე ნავთობის გაძვირების პარალელურად, უკვე დაიწყო ადგილობრივ ბაზარზეც საწვავის ფასის ზრდა. ერთი შეხედვით საერთაშორისო ბაზართან კორელაცია მართლაც მჭიდრო ჩანს, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორც წესი, ქართული საწვავის ბაზარი მგრძნობიარე, მხოლოდ საცალო გაყიდვების მიმართ აღმოჩნდება ხოლმე, ხოლო კორპორატიულ და კონსოლიდირებულ ტენდერებში საწვავის ფასი პრაქტიკულად არ იცვლება თვიდან-თვემდე და საცალო ქსელთან შედარებით გაცილებით იაფიც ღირს. ერთ-ერთ ასეთ ქეისზე საუბრობს აფბას ვიცე-პრეზიდენტი, პაატა ბაირახტარი.

– მართალია დღეს საქართველოში საწვავის ბაზარი ღიაა, მაგრამ ახალი მოთამაშეებისთვის ხელოვნური ბარიერები ბუნებრივმა ჩაანაცვლა, მე ვგულისხმობ იმ ურბანულ განლაგებას, რისი უპირატესობითაც სარგებლობს ეს 6 გიგანტი ნავთობკომპანია. საქმე ისაა, რომ ამ კომპანიებს თითქმის სრულად აქვთ ათვისებული ქალაქის ის ცენტრალური ნაწილი, რომელშიც მოსახლეობის ძირითადი კონცენტრაცია ხდება. შესაბამისად, ახალ მოთამაშეს პრაქტიკულად ეზღუდება ამ ექვსი გიგანტი კომპანიისთვის რეალური კონკურენციის გაწევის საშუალება.



ჩემი ოპონენტები ხშირად ამბობენ, რომ ბაზარზე ფასები კონკურენტუნარიანია და ის ყველა ეკონომიკურ ტენდენციას უწყობს ფეხს. მე ბევრჯერ მისაუბრია იმ ეკონომიკურ გათვლებზე, რომლის თანახმადაც საქართველოში საწვავის ფასი არ არის ჯანსაღი, მაგრამ ამჯერად უფრო მარტივ მაგალითს მოვიყვან. მაგალითად, შევხედოთ კომპანიების კორპორატიულ და საცალო ფასს და დავინახავთ იმდენად კოლოსალურ სხვაობას, რომლის ატანაც არც ერთ ჯანსაღად მოოპერირე კომპანიას არ შეუძლია.

მაგალითად, კომპანია „გალფი“, რომლის საცალო ქსელში, ერთი ლიტრი პრემიუმის ტიპის საწვავი 2.29 ლარი ღირს, ხოლო კორპორატიულ კლიენტებს, მაგალითად „თეგეტა მოტორსს“, ამავე ტიპის საწვავის შეძენა 2.04 თეთრში შეუძლია. ეს მაშინ, როდესაც ტექნიკურად კომპანიას იგივე ხარჯები უჯდება ამ საწვავის გაყიდვა, მოსახლეობას 25 თეთრით უფრო ძვირად აძლევს საწვავს, ვიდრე კომპანიებს. მართალია ზოგადად კორპორატიული კლიენტები, ამა თუ იმ საქონელზე შეღავათიანი ფასებით სარგებლობენ, მაგრამ რეალურად კომპანია ვერც კორპორატიულ ტენდერში გაყიდის საქონელს წაგებაზე, აქედან გამომდინარე გამოდის, რომ კომპანია „გალფი“ ერთ ლიტრ საწვავში მოსახლეობისგან მინიმუმ 29-თეთრიან მოგებას ნახულობს, რაც ნამდვილად კოლოსალური მარჟაა, – მიიჩნევს ბაირახტარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანია „გალფსაც“ დავუკავშირდით, სადაც კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა, ნინო ჯიბლაძემ დაგვიდასტურა, რომ კორპორატიული კლიენტები მართლაც სარგებლობენ შეღავათებით.

– კორპორატიული კლიენტებისთვის სხვადასხვა შეღავათები გვაქვს, რაც შეეხება კონკრეტულ ქეისს კომპანია „თეგეტა მოტორსთან“ დაკავშირებით, აღნიშნულ ხელშეკრულებას მე არ ვიცნობ და ვერაფერს გეტყვით, – განაცხადა ჯიბლაძემ.

აღნიშნულ ფასთა სხვაობას, გარანტირებული მარაგების გასაღებით ხსნიან „ნავთობიმპორტიორთა კავშირში“. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი განმარტავს, ასეთი შესყიდვების დროს კომპანია მიზერულ მოგებაზეც თანხმდება.

– საცალო და სატენდერო შესყიდვებს შორის არის ის განსხვავება, რომ სატენდერო შესყიდვის დროს გვაქვს საწვავის გარანტირებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაყიდვები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც საბითუმო მიწოდება. შესაბამისად, კომპანიები მინიმალური ფასნამატის ხარჯზე ახდენენ საწვავის რეალიზაციას ისევე, როგორც ანალოგიურად სხვა ბიზნეს-ინდუსტრიებში. რაც შეეხება კერძო კომპანიებზე საწვავის მიწოდებას, ასევე ფასდაკლებით, აქაც ანალოგიურ საკითხთან გვაქვს საქმე. კომპანიები არიან კორპორატიული მომხმარებლები. ისინი იძენენ დიდი ოდენობით საწვავს, რაზედაც ღებულობენ სხვადასხვა ფასდაკლებას შეძენილი პროდუქციის მოცულობის მიხედვით. ასევე ფიზიკური პირები, რომლებიც არიან კომპანიების ლოიალური მომხმარებლები, გააჩნიათ სხვადასხვა სახის ბარათები და სარგებლობენ სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი ფასდაკლებით სხვა სფეროების ანალოგიურად, – აცხადებს მთვრალაშვილი.

აღნიშნულ არგუმენტებს არ იზიარებენ ექსპერტები, როგორც „მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელი ბექა კემულარია განმარტავს, ფასებს შორის სხვაობა კიდევ უფრო დიდია სახელმწიფო შესყიდვების დროს.

– პირველ რიგში აღვნიშნავ იმას, თუ როგორ ტარდება კონსოლიდირებული ტენდერი. ამ შემთხვევაში ყველა სახელმწიფო უწყება ერთიანად აწვდის ინფორმაციას, სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს, თუ რა რაოდენობის საწვავი სჭირდება. არსებობს სპეციალური ფორმულა ტენდერში, რის მიხედვითაც ხდება საწვავის ფასის დადგენა, ანუ საწვავის ფასი დგინდება ყოველი თვის განმავლობაში, ყოველი თვის დასაწყისში და ყოველი წლის განმავლობაში, ამ ფორმულის მიხედვით, სადაც ცვლადი არის ვალუტის კურსი და ნავთობის პლაცის ფასი. ამ ცვლადების მიხედვით დგინდება საწვავის ფასი. ანუ კომპანია ზარალში ვერ წავა, სწორედ ამიტომ არის ვალუტის კურსი და პლაცსი ცვლადი. შესაბამისად, კომპანიები არც სახელმწიფო ტენდერებში ყიდიან საწვავს წაგებაზე. რაც შეეხება ახლანდელ მდგომარეობას, მიმდინარე თვისთვის პრემიუმის ტიპის ბენზინის ფასი არის 1,98 ლარი, ანუ ერთ ლიტრ პრემიუმს სახელმწიფო ავტომობილი, ბენზინგასამართ სადგურზე 1,98 თეთრად ჩაასხამს, ხოლო იგივე ტიპის საწვავს საცალო მომხმარებელზე, კომპანია ყიდის 35 თეთრით მეტად, სხვაობა, რა თქმა უნდა, კოლოსალურია, – ამბობს კემულარია.

# „საქართველო „მას-ტურიზმისგან“ არ უნდა დაზარალდეს



საქართველოში ტურისტების რაოდენობა იზრდება, თუმცა მათი უმეტესობა დაბალბიუჯეტიანია. როგორც „ბიზნეს-პრესნიუსთან“ საუბრისას შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ია თაბაგარმა განაცხადა, დაბალბიუჯეტიანი ტურისტები ძირითადად აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, ინდოეთიდან და არაბული ქვეყნებიდან ჩამოდიან. მისი თქმით, დაბალბიუჯეტიანი ტურისტები მაღალბიუჯეტიანებს კვლავ სჭარბობენ, როგორც თითქმის ყველა სხვა ქვეყანაში.

– დაბალბიუჯეტიანი ტურისტები კვლავ სჭარბობენ მაღალბიუჯეტიან ტურისტებს. ეს ფაქტი დგინდება იმის მიხედვით, თუ რა სტანდარტის ინფრასტრუქტურა, როგორი ხარისხის ტრანსპორტი, ავტო და რკინიგზის სადგურები გვაქვს ქვეყანაში. ასევე, ვინ და როგორ ბინებს ქირაობს. არც ეს არის პრობლემა, თუ გადასახადებს გადაიხდიან.

რეგიონებში საკმაოდ დაბალი ხარისხის სასტუმროებია დატვირთული, რადგან გარკვეული კატეგორიის ტურისტებისთვის ხარისხი და ფასი სავსებით მისაღებია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ დაბალბიუჯეტიანი ტურისტები მრავლად არიან, – აღნიშნავს თაბაგარი.

მისი თქმით, შედარებით მაღალბიუჯეტიანი ტურისტები მაღალი ხარისხითა და სწორი მარკეტინგით უნდა მოვიზიდოთ.

– მაღალბიუჯეტიანი ტურისტების მოზიდვა აუცილებელია, რომ საქართველო არ დაზარალდეს „მას-ტურიზმისგან“, რასაც დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ვერ ავცდებით. სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს ქვეყნის სტრატეგია, – განმარტავს თაბაგარი.

მისივე თქმით, ქვეყანას ტურიზმის მიმართულებით მოკლევადიანი პროექტების გათვლები და ბევრი მცდარი მიდგომა აქვს. სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის არ ხდება შეთანხმება დაგეგმვაზე: „დიდი ჰესების პროექტები თუ ტურიზმი რეგიონებში,

უაზრო გზები მთის რეგიონებში თუ ეკო-ტურიზმი. წინდაუხედავი პროექტები და ქმედებები საგრძნობლად შეცვლიან საქართველოს გარემოს უარესობისკენ.

დადებითია, რომ ტურიზმის ნაკადი საკმაოდ მზარდია, მაგრამ მთავარი შეკითხვაა, ქვეყანა რა მიმართულებით განვითარდება. ახლა რაც ხდება ქვეყანაში, ამის მიხედვით 5 წლის შემდეგ, საქართველო გახდება სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების ინსპირაციის წყარო შემდეგ თემაზე – როგორ არ უნდა ვითარდებოდეს ტურიზმი და რა ზიანი მოაქვს გარემოსა და მოსახლეობისთვის მასობრივ ტურიზმს, – აცხადებს თაბაგარი.

მისივე თქმით, პრობლემაა ისიც, რომ საქართველოს მოქალაქეები არ უფრთხილდებიან ბუნებას და კულტურას, ამას კარგად ხედავენ ტურისტებიც.

– გერგეტის სამებაში იატაკის რეკონსტრუქცია იატაკის ქვეშ გათბობის დასამონტაჟებლად ისე დაიწყო, რომ ნებართვა არ მიუღიათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოდან; ალავერდის მონასტრის ეზოში ახალი შენობა ააშენეს; უშგულის ლამარიას აივანი მიაშენეს; ლატალის ეკლესიაში ევრორემონტი გაკეთდა, ნარიყალასთანაც რაღაც შენდება, ვანის ქვაბებში შუა საუკუნეების ქვევრებზე ტურისტები დარბიან, ჩანგრეულია დიდი ნაწილი. ვარძიის ხანძრის შესახებ ყველამ ვიცით, ხანძრების პრევენციისთვის არაფერი კეთდება. ყოველდღე გვესმის ძეგლების დაზიანების, ნგრევის, რემონტის შესახებ. ისე წაიშლება ისტორია, რომ 10 წლის შემდეგ ალბათ, სათქმელიც აღარ დარჩება არაფერი.

ეს ყოველივე ახლა უფრო თვალშისაცემი გახდა, რადგან ტურისტების რიცხვი გაიზარდა, ამ ზრდას დანაგვიანებაც მოჰყვა. ტურისტულ ადგილებს მეტი მოვლა-პატრონობა სჭირდება როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფოს მხრიდან, – აღნიშნავს ია თაბაგარი.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-მარტის თვის მონაცემებით, საქართველოს 1,463,561 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +15.5%-ია.

ამასთან, მთლიანი რაოდენობიდან ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 659,338 შეადგინა (ზრდა +28.2%). ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (-3.9%), სომხეთიდან (+15.8%), თურქეთიდან (+21.8%), რუსეთიდან (+25.5%) და ირანიდან (+63.9%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მარტის თვეში გამოირჩნენ: ესპანეთი +79%, გაერთიანებული სამეფო +53%, ნიდერლანდები +46%, გერმანია +27%, საფრანგეთი +24% და სხვა. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: ქუვეითი +127%, საუდის არაბეთი + 82%, ისრაელი +77%, ირანი +64%, ჩინეთი +56% და სხვა.

# „აგარის შაქარი“ იმპორტირებულთან შედარებით კონკურენტუნარიანი იქნება

„აგარის შაქრის“ მიერ წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი იქნება“ – ამის შესახებ „კომერსანტთან“ საუბარში საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა. მისი ინფორმაციით, როგორც კომპანიის, ისე მთავრობის მხრიდან არის საკმაოდ ბევრი საკითხი, რომლის დარეგულირებაც ერთობლიობაში წარმოებულ პროდუქციას კონკურენტუნარიანს გახდის.




როგორც ცნობილია, შემუშავდა მხარდაჭერის პაკეტი, რომლის დახმარებითაც „აგარის შაქრის“ ქარხანა 1 ივნისიდან მუშაობას განაახლებს. ყველა ის ადამიანი, ვინც აგარის შაქრის ქარხნის კონსერვაციამდე ქარხანაში მუშაობდა, სამუშაო ადგილს დაუბრუნდება.

კონკრეტულად რას გულისხმობს მხარდაჭერის პაკეტი და როგორ იგეგმება საქართველოში წარმოებული აგარის შაქრის მიერ წარმოებული პროდუქციის მხარდაჭერა, დეტალებზე არც კომპანიაში და არც ბიზნესომბუდსმენის აპარატში არ საუბრობენ.

შეგახსენებთ, შაქრის უმსხვილესი მწარმოებელი, კომპანია „აგარის შაქარს“ ბოლო ორი წელია პრობლემები აქვს. ამ ხნის განმავლობაში კომპანია რამდენჯერმე დაიხურა. ყველა შემთხვევაში ქარხნის დახურვის მიზეზი იმპორტირებულ პროდუქციასთან კონკურენცია გახდა.

– ქვეყანაში შაქარი ძირითადად უკრაინიდან შემოდის, რომელსაც ბაზრის დაახლოებით 50 პროცენტი უკავია და თანაც იაფია. იმის გამო, რომ უკრაინული შაქარი იაფია, მასთან კონკურენცია ძალიან რთულია. ჩვენ რომ წარმოება აღარ აღვადგინოთ, შაქარზე მოთხოვნას იმპორტირებული პროდუქცია დააბალანსებს. შესაბამისად, ბაზარზე არც დეფიციტი იქნება და არც ფასი გაიზრდება, – აცხადებდა 2016 წელს კომპანიის გენერალური დირექტორი ალხან ალიზადე.

# ტოპ-მენეჯერებისგან განსხვავებით, საბანკო სექტორში დასაქმებულთა 99%-ს დაბალი ხელფასი აქვს

– ჩემი დამოკიდებულება ბანკებთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსიის შესახებ: ქვეყნის საფინანსო ბაზარზე ჩამოყალიბდა მონოპოლიური მდგომარეობა (ძირითადად, ბოლო 5 წელიწადში) და შეიზღუდა კონკურენცია. წარმოიქმნა ოთხბანკიანობის პერიოდი. ხელისუფლების ან ხელისუფლებასთან ჩახუტებული 4 ბანკი არის ქართუ, ლიბერთი, თბს, საქართველოს ბანკი. ეს მთელი საბანკო სისტემის 85 პროცენტზე მეტია. დანარჩენი ბანკები ვერ უწევენ მათ კონკურენციას. ვტბ საერთაშორისო სანქციებშია მოქცეული, როგორც რუსული ბანკის შვილობილი, პროკრედიტბანკი მთავრობის მიერ ბიზნესის წახალისების არაეფექტიანი პოლიტიკის (იხ. რა მოხდა სოფლის მეურნეობაში მილიარდობით სახელმწიფო ინექციის შემდეგ) და დიდი ოთხეულის მონოპოლისტური მდგომარეობის შედეგად განიდევნა მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტიდან (მისი ამ სახის სესხები იყიდა თბს ბანკმა),“ – აცხადებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი



ლიდერი რომან გოცირიძე.

როგორც გოცირიძე ირწმუნება, ჰუალინგის ბანკს (ბაზისბანკი) არაფორმალურად ხელი შეუშალეს გაფართოებაში და ჩაუშალეს ბანკ რესპუბლიკის შესყიდვის შესახებ გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულება. სხვა ბანკები ვერ ქმნიან ამინდს, რადგან ძალიან მცირე ზომისანი არიან. დღეს საქართველოში ბანკები გახდნენ პოლიტიკის გამგრძელებლები საფინანსო სფეროში. პოლიტიკა კი არაკონსტიტუციურად წარიმართება ერთი არაფორმალური მმართველის მიერ. ბანკები აქციეს პოლიტიკის ინსტრუმენტად. ბანკებმა და მასთან დაკავშირებულმა ჰოლდინგებმა მიიღეს მსუყე ლუკმები ხელისუფლებისაგან – დიდ ბიზნესპროექტებში მონაწილეობა, ინექციები ბიუჯეტიდან (სახაზინო ვალდებულებები, ბიუჯეტის ნაშთებზე არსებული ფული, ეროვნული ბანკის განუზომლად დიდი რეფინანსირების სესხები) და სხვა. მონოპოლიურობა და ხელისუფლების მხრიდან საკუთრებითი და პოლიტიკური კონტროლი – ესაა საბანკო სისტემის მთავარი პრობლემა. ეს ხელს უშლის ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებას.

– დამთავრდა ბანკებისადმი უპირობო მხარდაჭერის ხანა, გამომდინარე იდეოლოგიურ-ფილოსოფიური მოსაზრებებიდან. მხარდაჭერა იქნება კონკრეტული შედეგების მიხედვით. და კიდევ ერთი რამ: საბანკო სექტორში დასაქმებულთა 99 პროცენტს აქვს დაბალი ხელფასი. იმ მოგების ოდენობიდან, რასაც მოწინავე ბანკები ღებულობენ, ეს, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობაა. არა რბილად რომ ვთქვათ, წარმოუდგენელი უსამართლობაა, რომ ორი წამყვანი ბანკის ხელმძღვანელის წლიური ხელფასი იყოს ოთხ-ოთხი მილიონი დოლარი. საქართველოს რეიტინგისა და, შესაბამისად, ქართული ბანკების რეიტინგის მქონე მსგავს დასავლურ ბანკებში წარმოუდგენელია ასეთი ფუფუნება. უფრო მეტიც, ბევრი მსოფლიო ტოპ ბანკის ხელმძღვანელობას არ აქვს მსგავსი შრომის ანაზღაურება. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ქართულ საბანკო სისტემაში წარმოქმნილი ზემოგების წყალობით.

რაც შეეხება ჩემს პერსონალურ დამოკიდებულებას – მუდამ ვიყავი და ვიქნები ჯანსაღი საბანკო სისტემისა და თავისუფალი, დერეგულირებული ბაზრის მხარდამჭერი. ბანკების მიმართ გაჩენილი კრიტიკა არ ავნებს მათ. პირიქით. ქინაქინა მწარეა, მაგრამ წამალია, – ასეთია ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია.

# „იმედის“ დარბევისთვის ერეკლე კოდუას 9 წელი მიუსაჯეს

საქართველოს პროკურატურამ 2007 წლის 7 ნოემბერს სამაუწყებლო კომპანია „იმედში“ უკანონოდ შეჭრის და ტელეკომპანიის დარბევის ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (ს.ო.დ.) ყოფილი დირექტორი ერეკლე კოდუა სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ბრალდებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

ამის შესახებ განცხადება პროკურატურაში გაკეთდა.

– ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის ეთერიდან გათიშვის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფებთან ერთად, ტელევიზიის შენობაში შეიჭრა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, იგივე ს.ო.დ.-ის სპეცდანიშნულების რაზმი და ოპერატიული თანამშრომლები, რომელთაც ადგილზე ხელმძღვანელობდა ამავე დეპარტამენტის დირექტორი. მიუხედავად იმისა, რომ ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ სამართლებრივი საფუძველი, ისინი ძალისმიერი მეთოდით, უკანონოდ შეიჭრნენ ტელევიზიის შენობაში, მიზანმიმართულად დააზიანეს ძვირადღირებული საეთერო ჩართვის აპარატურა და ტელევიზიის ინვენტარი. ამასთან სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა ჟურნალისტებს და ტელეკომპანიაში დასაქმებულ პერსონალს, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, გამოაძევეს შენობიდან და შენობის გარეთ დაუშინეს რეზინის ტყვიები.

„იმედის“ მაუწყებლობის ეთერიდან გათიშვის შემდგომ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს, ერთი თვის განმავლობაში ტელევიზიის ტერიტორია ჰქონდათ ბლოკირებული ისე, რომ ჟურნალისტებს და პერსონალს არ აძლევდნენ შენობაში შესვლის საშუალებას.

ტელეკომპანიის ძალისმიერი მეთოდებით დარბევის შედეგად, დაზარალებულად ცნობილია 13 პირი, მათ შორის უმრავლესობა არის იმედის ჟურნალისტი. ტექნიკური საშუალებების და ინვენტარის განადგურების, დაზიანების, დაკარგვის, ასევე მიუღებელი შემოსავლის სახით ტელევიზიის მატერიალურმა ზიანმა იმ პერიოდში შეადგინა 3.158.307 ლარი.



სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს, ვინაიდან იგი თავს არიდებს საგამოძიებო უწყებაში გამოცხადებას და მის მიმართ მიმდინარეობს ძებნა, დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნული პირი მსჯავრდებულია ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმის საქმეზე, რომელზედაც მიესაჯა 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ე.წ. „ავტომანქანების საქმეზე“, რომელზედაც მიესაჯა 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

„ტელეიმედის“ დარბევის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკვე მიეცა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, იუსტიციის და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული აღნიშნული ქმედებების ორგანიზებაში. მათი ბრალდების საქმე არსებითად იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2007 წლის 7 ნოემბერს განვითარებულ მოვლენებთან, მათ შორის „ტელეიმედის“ დარბევასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართულ სხვა პირთა გამოვლენის მიზნით, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## პოლიციამ კასპში მომხდარი ყაჩაღობა ცხელ კვალზე გახსნა — დაკავებულია 2 პირი




შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის და კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული ჯ.ფ. და 1986 წელს დაბადებული ზ.ბ., ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, სოფელ აღაიანში, ცხელ კვალზე დააკავეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მიმდინარე წლის 24 აპრილს კასპის რაიონის სოფელ ფერმაში ყაჩაღურად თავს დაესხნენ ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლს, იარაღის მუქარითა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით ფული, ოქროს სამკაულები და სხვა ნივთები გაიტაცეს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გატაცებული ოქროს სამკაულები თბილისში მდებარე ერთ-ერთი „ოქროს ბირჟიდან“ ნივთმტკიცებად ამოიღო. სამართალდამცველებმა, დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას კი, ყაჩაღობის შედეგად წაღებული ნივთების ნაწილი, ასევე, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ჯ.ფ.-ს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალება და გადაჭრილი სანადირო თოფი.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტებით და 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

## გუდაურში სრიალისას 12 წლის სალომე ტატიშვილის დაღუპვაში ბრალდებული სააპელაციო სასამართლომ გაამტყუნა

2016 წლის 10 იანვარს გუდაურში სრიალისას დაღუპული 12 წლის სალომე ტატიშვილის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაში ბრალდებული გიორგი ლიპარტელიანი სააპელაციო სასამართლომ დამნაშავედ ცნო, და 3 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ამით სააპელაციო სასამართლომ შეცვალა 2017 წლის 29 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც ლიპარტელიანი უდანაშაულოდ ცნო.



გიორგი ლიპარტელიანის ადვოკატი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაუსაბუთებლად მიიჩნევს და უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს. გარდაცვლილი სალომე ტატიშვილის დედის ნინო ჟვანიას შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის პრეცედენტული და ამის შემდეგ სათხილამურო ტრასებზე უსაფრთხოებას უფრო დიდი ყურადღება მიექცევა

ბრალდებული გიორგი ლიპარტელიანი სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვას არ ესწრებოდა. ის საზღვარგარეთ ცხოვრობს და სწავლობს და სააპელაციო პროცესებზე დასასწრებად საქართველოში არ ჩამოსულა.

ლიპარტელიანი ტატიშვილს გუდაურში თხილამურებით სრიალისას 2016 წლის 10 იანვარს დაეჯახა, რის შედეგადაც 12 წლის მოზარდი ადგილზე დაიღუპა.

## მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე 12 პირი პასუხისგებაში მისცეს

სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე 12 პირი პასუხისგებაში მისცეს.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე 12 პირი პასუხისგებაში მისცეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, გაყალბებული მიღება-ჩაბარების აქტების გამოყენებით, რომლებიც ადასტურებდა სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების თითქოსდა მათთვის საკუთრებაში გადაცემას, მოტყუებით დაირეგისტრირეს ქალაქ თბილისში, ყოფილი დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე არსებული, ჯამში 68.506 მ2 მიწის ფართი, რომლის საერთო ღირებულება 787.371 ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე, აღნიშნული მიწის ნაკვეთები დაყადაღებულია.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ოთხმეზურების ოჯახს ძროხა მოპარეს, დაკლეს და ნარჩენები დაუტოვეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში გასულ კვირას საქონლის ქურდობის ფაქტი მოხდა.

დვაბზუ-ცხემლისხიდის საზღვართან მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მოპარეს, ბოსელთან რამდენიმე მეტრის მოშორებით დაუკლეს და ნარჩენები დაუტოვეს.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, შემთხვევა, სავარაუდოდ, ღამის საათებში მას შემდეგ მოხდა, როცა ოთხმეზურების სახლში უკვე ეძინათ.

– 25 აპრილს ღამით გამოიყვანეს ძროხა ბოსლიდან, რამდენიმე მეტრში დაკლეს და ტყავი და ძვლები დატოვეს. ანუ, რის გაყიდვასაც ვერ შეძლებდნენ. ისე გაუჭირდა ხალხს, რას აღარ კადრულობენ. ერთმა თქვა, მგელი ხომ არ იზამდაო. მგლის დაგლეჯილი საქონელი კი მინახავს და სუფთად გატყავებული არა. რამდენი თვეა ჩვენს ზემოთ სოფლებში ძროხები და ცხენები იკარგება, ახლა ქვემოთაც ჩამოვიდნენ. მიეცემა ახლა ამას მასობრივი ხასიათი და მთლად ულუკმაპუროდ დაგვტოვებენ ოჯახებს, – განაცხადა დაზარალებულის მეზობელმა.

## აფგან მუხთარლის ადვოკატს სასამართლო პროცესამდე ერთი დღით ადრე ლიცენზია შეუჩერეს

აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი პატიმრობაში რჩება – შაქის სააპელაციო სასამართლომ აფგან მუხთარლის საქმეზე პირველი ინსტანციის განაჩენი, 6-წლიანი პატიმრობა ძალაში დატოვა.



მუხთარლის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის, მესაზღვრის ფიზიკურად შეურაცხყოფისა და თანხის არადეკლარირებულად გადატანაში ადანაშაულებენ.

მოსამართლემ დაცვის მხარის არც ერთი არგუმენტი არ გაითვალისწინა. ადვოკატები საქმეს ჯერ უზენაეს სასამართლოში, შემდეგ კი უკვე სტრასბურში გაასაჩივრებენ.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესამდე ერთი დღით ადრე, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ადვოკატს ლიცენზია შეუჩერეს. ნემათ ქარიმ-ლის საადვოკატო საქმიანობა ერთი წლით აეკრძალა.

– როგორც აზერბაიჯანელი კოლეგები გვეუბნებიან, ხელისუფლებისათვის არასასურველ ადვოკატებს ამ წესით უჩერებენ ადვოკატის სტატუსს და იშორებენ თავიდან, რაც ნამდვილად არ გამოიღებს იმ შედეგებს, რასაც აზერბაიჯანის ხელისუფლება გეგმავს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ, – აცხადებს მუხთარლის ქართველი ადვოკატი, არჩილ ჩოფიკაშვილი.

## ნარკოდანაშაულისთვის ირანის 3 მოქალაქე დააკავეს



– შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში ნარკოდანაშაულისთვის ირანის 3 მოქალაქე დააკავეს. პოლიციამ დაკავებულების ფეხსაცმლის ძირებში დამალული 6 შეკვრად დაფასოებული 1 კილო და 120 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღო.

პოლიციელებმა, თბილისსა და ბათუმში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის ირანის კიდევ 3 მოქალაქე დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, 647,34 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს. ასევე, ნივთმტკიცებად ამოღებულია ერთ-ერთი ბრალდებულის მიერ გადამალული 290 გრამი ჰეროინი. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულიც 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ახალციხეში ავტომობილი დაიწვა — პატრონის თქმით, ცეცხლი განზრახ წაუკიდეს

ახალციხეში მსუბუქი ავტომობილი დაიწვა. როგორც მეპატრონე აცხადებს, მანქანას ცეცხლი განზრახ მოუკიდეს.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. ავტომობილს ექსპერტიზა უტარდება.

# პასე: „დონბასის ნაწილი რუსეთის მიერაა ოკუპირებული!“



ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ (პასე) ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: დონბასის ნაწილი, რომელსაც რუსები და მათი მარიონეტები აკონტროლებენ, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად გამოცხადდა.

უკრაინული დელეგაცია ჯერ კიდევ 2014 წლიან მოითხოვდა, რომ რუსეთისათვის ოკუპანტის სტატუსი მიენიჭებინათ. პასე ცდილობდა ამისთვის თავი აერიდებინა, თუმცა რუსეთს ხმის მიცემის უფლება ჩამოართვა. ამან მოსკოვის აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა პუშკოვმაც პროტესტის ნიშნად დელეგაცია დარბაზიდან გაიყვანა. მალე რუსეთმა პასეში საწევროს გადახდა შეწყვიტა, აქაოდა მანამ, სანამ ხმის მიცემის უფლებას არ აღგვიდგენთ, საწევროს გადახდას აზრი არა აქვსო. ამას პასეს პრორუსული ლობის გააქტიურება მოჰყვა. ჩეხეთის პრეზიდენტმა ზემანმა კი განაცხადა:

– უკრაინის საზღვრები არაერთგზის შეცვლილა! არაფერი დაშავდება, თუ ეს კიდევ ერთხელ მოხდება!

სკრიპალების მოწამვლამ, აგრეთვე ასადის მიერ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებამ, კრემლის მიერ ამ სისხლიანი დიქტატორის მხარდაჭერამ თავისი გავლენა იქონია. ევროპა რუსეთისადმი ნეგატიურად განეწყო. ამის შეცვლა პრორუსულ ლობის აღარ შეეძლო. პასემაც რუსეთი ოკუპანტად გამოაცხადა.

ამით ავტომატურად მოიხსნა რუსეთის პასეში დაბრუნების, ან მისთვის სანქციების შესუსტების საკითხი. ქვეყანას, რომელიც მეზობელ ქვეყნებს ტერიტორიებს ართმევს, ევროსტრუქტურებში არაფერი ესაქმება.

ამრიგად, უკრაინამ საერთაშორისო არენაზე სერიოზულ გამარჯვებას მიაღწია. უდავოა ისიც, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები უახლოეს ხანებში გამკაცრდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დონბასის პრობლემა უკვე მოგვარდა ან მალე მოგვარდება.

– დონბასის საკითხის მოგვარება წელს ვერ მოხერხდება, – ამბობს უკრაინის წარმომადგენელი პასეში არიევი.

პასეს დადგენილებაზე კრემლის პოზიცია ჩვეულებისამებრ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

– ევროპის საპარლამენტო ასამბლეას არავითარი გავლენა არა აქვს! ეს უფრო სალაყბოა, ვიდრე პარლამენტი! თუმცა პასეს უპასუხისმგებლო ქმედება ევროპას ძალიან ძვირი დაუჯდება!

30 აპრილს უკრაინა ოფიციალურად ამთავრებს ატო-ს (დონბასში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაცია). იწყება ახალი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონის ოკუპანტებისგან გათავისუფლებას და მის უკრაინის შემადგენლობაში რეინტეგრაციას. ფრონტზე უკრაინელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, პასეს დადგენილება კი უდავოდ სერიოზულ გავლენას იქონიებს მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. მით უმეტეს, რომ დონბასიდან რუსული ჯარის გაყვანას არა მხოლოდ პასე, არამედ დიდი შვიდეულიც მოითხოვს. მსოფლიო საზოგადოების ზეწოლა კი ადრე თუ გვიან შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

# პაშინიანი: „მზად ვარ, პრემიერი გავხდე!“

სომხეთის ოპოზიციის ლიდერმა ნიკოლ პაშინიანმა ერევანში ბრიფინგი გამართა. მან განაცხადა, რომ სომხეთის ამჟამინდელ ხელისუფლებასთან რაიმე მოლაპარაკება გამორიცხულია.

– მხოლოდ სარგსიანის წასვლა არაფერს ნიშნავს! უნდა ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, – განაცხადა პასინიანმა.

ოპოზიციის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ ვადამდელი არჩევნები მაქსიმუმ ორ თვეში უნდა ჩატარდეს. ჟურნალისტის შეკითხვაზე, გსურთ თუ არა პრემიერი გახდეთ, მიუგო:

– ეს ხალხის გადასაწყვეტია! არჩევნებზე მან თავისი ნება უნდა დააფიქსიროს! თუ ნდობას გამომიცხადებენ, მზად ვარ, პრემიერის სავარძელი დავიკავო, – თქვა ოპოზიციის ლიდერმა.

პაშინიანი სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებსაც შეეხო. მან რუსეთს მოძმე ქვეყანა უწოდა და განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს რუსეთ-სომხეთის ურთიერთობებში რიგ უხერხულობებს ჰქონდა ადგილი, რამაც სომხებში რუსების მიმართ გარკვეული იმედგაცრუება გამოიწვია.

– თუ პრემიერი გავხდები, ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ რუსეთ-სომხეთს შორის არსებული ყველა დაბრკოლება აღმოიფხვრას, – თქვა პაშინიანმა.

სომხეთის ოპოზიციის ლიდერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ რუსული ბაზები ქვეყანაში დარჩება:

– ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ იმაში, რომ სომხეთში რუსული ბაზები დარჩეს! – ამბობს პაშინიანი.

მან განაცხადა, რომ სომხეთის პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის, კარაპეტიანის, წინადადება მოლაპარაკებების შესახებ უარყო. ოპოზიციის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ ვადამდელ არჩევნებს ალტერნატივა არა აქვს.

– 25 აპრილს ჩემს მომხრეებს მოვუწოდებ, ქუჩაში გამოვიდნენ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, – თქვა პაშინიანმა.

25 აპრილს ერევანში დაუმორჩილებლობის აქცია განახლდა.



## ყირიმში რუსული ჯარის კონცენტრაცია მიმდინარეობს




კიევში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „უკრაინა–საქართველო–ნატო“.

მასზე მოხსენებით გამოვიდა უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი პეტრენკო. მან განაცხადა, რომ ყირიმში რუსული ჯარის კონცენტრაცია მიმდინარეობს. ამ მომენტისთვის იქ თავმოყრილია 32.000 რუსი ჯარისკაცი, 8 სამხედრო გემი, ამდენივე წყალქვეშა ნავი, 174 საარტილერიო დანადგარი, 113 თვითმფრინავი, ჰაერსაწინააღმდეგო ჩ–400, აგრეთვე ისკანდერის სისტემის რაკეტები.

– 2013 წლისთვის ყირიმში სულ 12.000 რუსი ჯარისკაცი იმყოფებოდა, – თქვა პეტრენკომ.

## ვინ არის ალექს მინასიანი?

ტორონტოს ტერაქტმა მთელი კანადა შეძრა. როგორც ცნობილია, ავტომობილი ხალხის ნაკადში შეიჭრა. შედეგად 10 კაცი დაიღუპა, 15 დაშავდა. მძღოლი დააპატიმრეს. ის 26 წლის ალექს მინასიანი აღმოჩნდა.



ჯერჯერობით დაუდგენელია მოტივები, რამაც მინასიანს აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა აიძულა. აქამდე ის პოლიციის თვალთახედვის არეში არ მოხვედრილა. ასევე ვერ დადგინდა მისი კავშირი რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციასთან.

მინასიანი ბავშვობაში სპეციალურ ინტერნატში დადიოდა, სადაც ის ბავშვები სწავლობენ, რომელთაც გონებრივ განვითარებაში პრობლემები აქვთ.

ახლობლები ერთხანს აცხადებდნენ, რომ მინასიანი ერთავად თავჩაქინდრული დადიოდა, ხელები მუდამ დამუშტული ჰქონდა, საუბრისას შეეძლო დაეყეფა და დაეკნავლა, ან სულაც ოთხზე დამდგარიყო. ამას გარდა, მას კიდევ ერთი უცნაურობა ახასიათებდა: ქალები პათოლოგიურად სძულდა.

– მინასიანი დალაგებული ნამდვილად არ იყო, მაგრამ არც აგრესიულობას ამჟღავნებდა. ყველა ერთ ჩვეულებრივ გონებაჩამორჩენილ ადამიანად თვლიდა, – აცხადებენ მისი ახლობლები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# ფაჩულია უთამაშებლად იგებს, შენგელია და ბითაძე ორმაგებს აგროვებენ

ნბა-ს ფლეიოფის შემდეგ რაუნდში გავიდა ზაზა ფაჩულია და გოლდენ სტეიტ უორიორზი, რომელმაც სერიაში 4:1 დაამარცხა სან ანტონიო სპურსი.

დასკვნით მატჩში უორიორზმა ლიდერობა თავიდანვე მოიპოვა. მთელი შეხვედრის განმავლობაში, სპურსი მხოლოდ ორჯერ გავიდა წინ და ისიც პირველ მეოთხედში.

სამწუხაროდ, ზაზა ფაჩულიას არც ამჯერად უთამაშია. თუმცა, თუ გოლდენ სტეიტი ჩემპიონი ისევ გახდება, ზაზა საერთოდ რომ არ გამოჩნდეს პარკეტზე, საჩემპიონო ბეჭედს მაინც მიიღებს. ერთია, საკუთარი წვლილის შეტანა გუნდის წარმატებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია.

მასპინძელთა მხრიდან, 25 ქულა კევინ დურანტმა მიითვალა, 24 ჰქონდა კლეი ტომპსონს, დრეიმონდ გრინმა კი 17 ქულა და 19 მოხსნა მოაგროვა.

ნახევარფინალში გოლდენ სტეიტ უორიორზი ნიუ ორლეან პელიკანს შეხვდება.

თორნიკე შენგელიას 10 ქულა, 10 მოხსნა – ესაა ქართველი კალათბურთელის მონაგარი ევროლიგის ჩემპიონ ფენერბაჰჩესთან მატჩში. რაც მთავარია, გამარჯვება ფლეი ოფის მე-3 მატჩში, რომელშიც უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო. მეოთხედფინალური სერია 3 მოგებამდეა, შენგელიას ბასკონია კი საერთო ანგარიშით 0:2 აგებდა თურქულ გრანდთან.



ბასკონიამ სავსე ტრიბუნების წინ ფენერბაჰჩეს 88:83 მოუგო. შეხვედრა საკმაოდ თანაბარი და, შესაბამისად, დაძაბული იყო, რომლის ბედიც ბოლო წუთებზე, მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა. შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 26 წუთში 10 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. თორნიკემ 10-დან 4 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, 1 სამქულიანი ააცილა. შედეგად, ქართველი მძიმე ფორვარდის სარგებლიანობის კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა და ამ მხრივ, ის მხოლოდ ფრანგ როდრიგ ბობუას (24) ჩამორჩა, რომელმაც 21 ქულას 3 მოხსნა და 5 პასი წაამატა.

ესპანურ-თურქულ დაპირისპირებაში ანგარიში 1:2 გახდა, მეოთხედფინალური სერიის მომდევნო მატჩს კი 26 აპრილს ისევ ბასკეთი უმასპინძლებს.

ჰო, მატჩის დაწყებამდე თორნიკე შენგელიას მარტის უძვირფასესი მოთამაშისთვის (მვპ) განკუთვნილი ჯილდო გადასცეს.

გოგა ბითაძემ მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა სერბეთის ჩემპიონატში. მომავალ ივნისს დაგეგმილი ნბა-ს დრაფტისთვის გამზადებული ქართველი ცენტრი ყველა მატჩში გამორჩეულია, წუხელ კი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. მართალია, მისი გუნდი შინ მლადოსტთან ბრძოლაში (90:92) დამარცხდა, თუმცა ქართველმა ცენტრმა ორმაგი დუბლი მიითვალა და შედეგიანობით ყველას აჯობა.

ბითაძე სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 26 წუთში 19 ქულა, 15 მოხსნა (4 შეტევაში), 6 დაფარება და 2 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 12-დან 9 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა. ჩვენებურის სარგებლიანობის კოეფიციენტი 31-ს გაუტოლდა, რასთან ახლოსაც კი ვერავინ მივიდა.

მეგა ბემაქსს სერბეთის ჩემპიონატის ა ჯგუფში 1 მოგება და 2 მარცხი მოუგროვდა, მომდევნო შეხვედრა კი, ისევ შინ, ბორაცთან ელის.

# შოუ ენფილდზე და სუპერსალაჰი

**ლივერპული-რომა 5:2**

**ლივერპული. ენფილდ როუდი**

1:0, 2:0 სალაჰი (36, 45), 3:0 მანე (56), 4:0, 5:0 ფირმინო (62, 69), 5:1 ჯეკო (81), 5:2 პეროტი (85პ)

**ლივერპული:** კარიუსი, ალექსანდერ-არნოლდი, ლოვრენი, ვან დეიკი, რობერტსონი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (ვეინალდუმი 18), ჰენდერსონიმ მილნერი, სალაჰი (ინგსი 75), ფირმინო (კლავანი 90), მანე

**რომა:** ალისონი, ფაციო, მანოლასი, ჟუან ჟესუსი (პეროტი 67), ფლორენცი, დე როსი (გონალონსი 67), სტროოტმანი, კოლაროვი, იუნდერი (შიკი 46), ნაინგოლანი, ჯეკო



ძალიან იშვიათად, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი ასეთი სანახაობრივი ყოფილიყო. ლივერპულმა და რომამ მართლაც დაუვიწყარი სანახაობა აჩუქეს ფეხბურთის გულშემატკივრებს, რასაც თან დაურთეს გოლების წვიმა და ზღვა ემოცია.

მერსისაიდელები მოჰამედ სალაჰის წინამძღოლობით ანადგურებდნენ რომაელებს. შემდეგ ეგვიპტელი მოედნიდან გავიდა, ლივერპულიც მოეშვა, რომამ მოუმატა და შანსი დაიტოვა.

არადა, სალაჰი რომადან გადავიდა ლივერპულში და იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა, ალბათ, ძალიან ნანობს მის გაშვებას. სალაჰის მოედანზე ყოფნისას ანგარიში 5:0 იყო.

ამ 5 გოლიდან 2 საკამათო იყო, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს ლივერპულის ბრწყინვალე თამაშს. მერსისაიდელები შესანიშნავად ირჯებოდნენ და ამ ყველაფერს ძალიან მაღალ სისწრაფეზე აკეთებდნენ. სალაჰის გასვლისა და მოედანზე ინგსის გამოჩენის შემდეგ ინიციატივა რომაელებმა გადაიბარეს, 2 გოლი გაიტანეს და ზუსტად ისეთივე შანსი დაიტოვეს, როგორიც ბარსელონასთან ჰქონდათ.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე – მოჰამედ სალაჰი

საოცარი თამაში ჩაატარა ეგვიპტელმა. ანგარიში გოლი-შედევრით გახსნა, რასაც მალევე მეორე დაუმატა. გგონიათ ამას დასჯერდა? მეორე ტაიმში თანაგუნდელებს ორჯერ დაასვა ბურთი ფეხზე და მათაც გატანა არ გასჭირვებიათ. მოკლედ, კლეოპატრას შთამომავალი რომაელებს შიშის ზარს სცემდა.

**იურგენ კლოპი:**

– 80 წუთის მანძილზე ჩვენთვის ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა. 5:2-ს 5:1 ან 5:0 მერჩივნა. თუმცა, ბიჭებმა მოედანზე თავი დადეს და სამდურავი არ მეთქმის. ვერ წარმოვიდგენდი თუ შეხვედრა ასეთი ანგარიშით დასრულდებოდა. მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო. შევეცდებით რომშიც გავიმარჯვოთ... რა მასწავლა ამ თამაშმა? ის, რომ საპასუხო მატჩში გამარჯვება შეგვიძლია. ჩვენ არ ვართ ბარსელონა. ბოლო წლებში მათ ბევრი მოიგეს, ჩვენ – არა. ამიტომ საჭირო შედეგის მისაღწევად, თავს არ დავზოგავთ... ოქსლეიდ-ჩემბერლენის ტრავმა სერიოზული უნდა იყოს. წინასწარ ვერაფერს ვერ გეტყვით. ჩვენთვის სერიოზული დანაკლისია.

**ეუსებიო დი ფრანჩესკო:**

– სულ ბარსელონაზე ლაპარაკი არ შეიძლება, არ შეიძლება ყველა ორთაბრძოლის წაგება, არ შეიძლება, რომ უკან არ ჩახვიდე დაცვის დასახმარებლად. პირველი 20 წუთი 3 მცველით ვითამაშეთ და პრობლემა არ შეგვქმნია. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გუნდი გააძლიერეს და ეს საჭირო რეაქცია იყო. თუ საკუთარი თავისა არ გწამს, მაშინ ასეთ შეხვედრებში მონაწილეობა არ უნდა მიიღო. არავის გამტყუნება არ მინდა. ყველაფერი წყალში იყრება თუ ბურთის დაჭერას და მარტივი პასების გაკეთებას ვერ ვახერხებთ. მეტოქის პრაქტიკულად ყველა შეტევა ჩვენ მიერ ბურთის დაკარგვის შემდეგ იწყებოდა. ბარსელონასთანაც გვჯეროდა გამარჯვების და ახლაც გვჯერა. ლივერპულში ჩემმა გუნდმა ვერ ივარგა, მაგრამ საპასუხო მატჩში სულ სხვა რომას იხილავთ.

# გიორგი რეხვიაშვილი: „საბურთალოს განსხვავებული სტილი აქვს“

საბურთალო ეროვნული ლიგის მიმდინარე სეზონში ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ იქნებოდა, ნათელი იყო, მაგრამ სტარტზევე საჩემპიონო განაცხადი გააკეთეს. საწყის ტურებში არცთუ ძლიერ გუნდებთან გამარჯვების შემდეგ და ლოკომოტივთან მარცხმა, ცოტა შეარყია მათი იმიჯი, მაგრამ ზედიზედ მოუგეს თბილისის დინამოსა და ქუთაისის ტორპედოს, რის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობენ.

გიორგი რეხვიაშვილი საბურთალოს ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე შეუერთდა, მანამდე კი ბევრი კლუბი გამოუცვლია და ეროვნულ ნაკრებშიც აქვს ნათამაშები.



გამოცდილ მცველთან საუბარი ქუთაისის ტორპედოსთან გამარჯვების შესახებ დავიწყეთ...

**გიორგი რეხვიაშვილი:**

– ტორპედოსთან სათამაშო უპირატესობა გვქონდა და საბოლოოდ, შეხვედრა ლოგიკურად დასრულდა. ვფიქრობ, სწორი ტაქტიკა დავუპირისპირეთ გამოცდილ მოწინაალმდეგეს და მიხარია, წარმატებულ სვლას რომ განვაგრძობთ. კვირას საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავდა – ტორპედო კარგად დაბალანსებული და ორგანიზებული კლუბია.

***– როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე მოახერხა საბურთალომ მეტოქის დამარცხება?***

– ტორპედოს მაღალი პრესინგი შევთავაზეთ. ვცდილობდით, ბურთი არ ამოეტანათ ჩვენს ნახევარზე. შესაძლოა, ყოველთვის არ გამოგვდიოდა, მაგრამ ტაქტიკამ გაამართლა. ასევე, უფრო მეტად ვიყავით მონდომებულები. დაცვით ხაზში სტაბილურად ვითამაშეთ და მოწინააღმდეგეს არ მივეცით რეალური მომენტის შექმნის შესაძლებლობა.

***– მიმდინარე ეროვნულ ლიგაში საბურთალოს ყველაზე ნაკლები, 4 ბურთი აქვს გაშვებული. არადა, მოსამზადებელ შეკრებაზე გუნდი მინიმუმ ერთ ბურთს უშვებდა.***

– ეს არ არის შემთხვევითი. არამარტო დაცვით რგოლზე, ყველა სათამაშო კომპონენტზე ძალიან ბევრს ვმუშაობთ. შეცდომები ახლაც გვაქვს, მაგრამ მათ გამოსწორებას ვცდილობთ და მჯერა, მომავალში კიდევ უფრო დავხვეწთ თამაშს. კარგია, რომ მთელი კლუბი დამაჯერებლად და სტაბილურად თამაშობს.

***– მიმდინარე პირველობაზე რომელ მეტოქესთან გაგიჭირდათ თამაში?***

– ალბათ, უფრო ლოკომოტივთან, რადგან მათთან დავმარცხდით. ცოტა გაუმართლებლობაც იყო თბილისურ დერბიში, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. შემდეგ მოხდა ისე, რომ საკუთარ კარში მივიღეთ და მატჩის შემობრუნება ველარ შევძელით. დინამოსთანაც არ იყო იოლი მატჩი, მაგრამ იმ შეხვედრაში სამი ქულა ავიღეთ.

***– შეიძლება ითქვას, რომ საბურთალოს საბოლოოდ შეეწყვეთ?***

– დიახ. ადაპტაცია არ გამჭირვებია, რადგან კლუბში ბევრი მეგობარი დამხვდა. ვფიქრობ, თამაშიდან თამაშამდე ვუმატებ და ვცდილობ, კარგად წარმოვაჩინო თავი, გავამართლო იმედები.

***– რამდენიმე ქართულ კლუბში გითამაშიათ. რა განსხვავებებს ხედავთ საბურთალოსა და სხვა კლუბებს შორის?***

– რა სტილითაც საბურთალო თამაშობს, არც ერთ კლუბში მითამაშია. საბურთალოს საკუთარი სათამაშო ხელწერა აქვს. დინამოში ვთამაშობდი, ჩიხურაში, ლოკომოტივში, მაგრამ საბურთალო განსხვავებული გუნდია, ყოველთვის პირველ ნომრად თამაშობს. დინამოც, ძირითადად, პირველ ნომრად ასპარეზობდა, მაგრამ იყო მატჩები, სადაც მეორე ნომრად თამაშობდა. უნდა აღინიშნოს, რომ საბურთალო ძალიან მეგობრული და შეკრული კლუბია.

***– ნაკრებში დაბრუნების და თამაშის სურვილი გექნებათ.***

– ძალიან დიდი სტიმული და მოტივაციაა ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობა. მინდა, კვლავ მოვირგო ქვეყნის პირველი გუნდის მაისური, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და სტაბილურად გავაგრძელო თამაში.

***– საბურთალოში გადასვლით სწორი ნაბიჯი გადადგით?***

– ვიდრე თბილისურ კლუბში ჩავირიცხებოდი, იყო რამდენიმე ქართული კლუბისგან დაინტერესება, მაგრამ არჩევანი საბურთალოზე გავაკეთე. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე და მიხარია, რომ დღეს საბურთალოს ფეხბურთელი ვარ.

***– კლუბს უახლოესი მატჩები ჩიხურასთან და სამტრედიასთან აქვს. რა შეგიძლიათ თქვათ მომავალ მეტოქეებზე?***

– ორივე რთული შეხვედრა გველის, რადგან ჩიხურა და სამტრედია გამოცდილი კლუბები არიან. ყველა თამაშზე კონცენტრაცია და ბოლომდე ბრძოლაა საჭირო. თუმცა, ჩვენი მიზანი ყველა შეხვედრაში გამარჯვებაა – მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ წარმატებული სვლა განვაგრძოთ.

# დინამოს აკადემია დარასელიას ტურნირს მასპინძლობს

თბილისის დინამოს აკადემიაში დაიწყო ვიტალი დარასელიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის 8 გუნდი მონაწილეობს.




პირველი დღე საინტერესო გამოდგა: ა ჯგუფში თბილისის დინამომ მინსკელ დინამოელებს უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა მეტოქე.

მატჩი თბილისელებმა აქტიურად დაიწყეს და ინიციატივა პირველივე წუთებიდან მოიპოვეს. ქართველები ბევრს უტევდნენ და არაერთი ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს. საპასუხოდ, მინსკელებსაც ჰქონდათ სახიფათო შეტევა და კარი ლუკა ხარშილაძემ იხსნა.

მეორე ტაიმში დინამოელთა შეტევებმა შედეგი გამოიღო: 50-ე წუთზე ზაურ სიჭინავამ თერთმეტმეტრიანი დარტყმით გახსნა ანგარიში. სამიოდე წუთში, გიორგი ჩხეტიანმა მეორედ აიღო მინსკელთა კარი და ფინალური შედეგიც დააფიქსირა.

ამავე ჯგუფში ერთმანეთს იტალიური ჯენოა და ჰოლანდიური ვიტესი შეხვდნენ. იტალიელებმა სწრაფი გოლი გაუტანეს ჰოლანდიელებს – მეხუთე წუთზე ანგარიში პიეტრო ვასალომ გახსნა, 3 წუთში კი ტომაზო ბაშეროტიმ გამოიჩინა თავი.

შემდეგ ვიტესმა თამაში გამოასწორა და ერთი ბურთის გაქვითვაც შეძლო – გოლი მელვინ ესაიასმა გაიტანა, მაგრამ მეორე ტაიმში ბაშეროტიმ ერთხელაც დაამწუხრა ვიტესი და ჯენოამ 3:1 იმარჯვა.

ბ ჯგუფში თავდაპირველად ერთმანეთს სფფ-ს აკადემია და ესპანიოლი დაუპირისპირდნენ. შეხვედრა მაღალ ტემპში წარიმართა. სათამაშო უპირატესობას, ძირითადად, სტუმრები ფლობდნენ, თუმცა, სფფ-ს გუნდიც სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდა მეტოქეს და ეს, განსაკუთრებით, მეორე ტაიმში იგრძნობოდა.

ესპანელებმა კი უპირატესობა თითო ტაიმში გატანილ თითო გოლში ასახეს: მე-11 წუთზე ანგარიში პოლ მოლინამ გახსნა, ხოლო მეორე ნახევარში პოლ ფელისესმაც გაიტანა და ესპანიოლმა 2:0 იმარჯვა.

მეორე შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ მოსკოვის სპარტაკი და ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, კიევის დინამო.

მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო, მომენტებიც შექმნეს, თუმცა, სპარტაკმა უპირატესობა მეთოდურად იგდო ხელთ. პირველ ტაიმში ერთი გოლი გავიდა: 28-ე წუთზე მაქსიმ ერმაკოვმა გახსნა ანგარიში. მეორე ნახევარში ჯერ მიხაილ პილიპენკომ, შემდეგ კი არგამ საფარიანმა კიდევ ორი დაუმატეს და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს – 3:0 სპარტაკის სასარგებლოდ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მაურისიო პოჩეტინო – ყველაზე ძველი ბიჭის შეგირდი

ბოლო წლების ლონდონის ტოტენჰემის საოცარი ფორმა, საოცარ ახალგაზრდებთან ერთად, გუნდის არგენტინელი მთავარი მწვრთნელის – მაურისიო პოჩეტინოს დამსახურებაა.

ვინ არის, სად გაიზარდა, როგორ მივიდა აქამდე?

პოჩი ბრიტანელების ყოფილ სამხედრო ფორტში, მერე დასახლებად გადაქცეულ მერფიში აღზრდილია. პირველად საყვარელი სპორტის სახეობა, 1978 წელს მამასთან ერთად, ბარში ნახა, სადაც მის სამშობლოში გამართულ მუნდიალზე, მარიო კემპესი დაფრინავდა. ჰექტორ პოჩეტინოს ვაჟი ადგილობრივ გუნდში თამაშისას ხოსე გრიფამ შენიშნა და სანტა ფეს პროვინციის დედაქალაქში – როსარიოში წაიყვანა.

არგენტინის ნაკრებს მაშინ მისი ყოფილი მწვრთნელი, მარსელო ბიელსა წვრთნიდა. ბიელსა მალევე გაუშვეს და მას შემდეგ პოჩეტინოს ნაკრებში აღარ უთამაშია. მებრძოლმა ცენტრალურმა მცველმა კარიერა 2006 წელს ესპანიოლში დაამთავრა და მალევე ამ გუნდის მწვრთნელი გახდა.

სადებიუტო მატჩში გვარდიოლას პირველი სეზონის სუპერ ბარსელონასთან მოუწია თამაში, პოჩიმ ანრის, ეტოოს და მესის გუნდი შეაჩერა და ყველასთვის მოულოდნელად ფრე – 0:0 ითამაშა. არგენტინელმა გუნდი იმ სეზონში გავარდნას გადაარჩინა და თან ბარსას ლიგის მატჩში, კამპ ნოუზე 1:2 მოუგო, რაც მანამდე 27 წელი არავის ჰქონდა გაკეთებული.



პოჩეტინოს პირველად ინგლისში საუთჰემპტონმა დაუძახა და ოსვალდო არდილესის შემდეგ იგი პირველი არგენტინელი გახდა, რომელმაც ინგლისის ტოპ დივიზიონის გუნდი ჩაიბარა. პოჩიმ 2013-14 წლების სეზონი, კლუბისთვის სარეკორდო ქულათა რაოდენობით, მერვე ადგილზე დაასრულა.

წარმატებული სეზონის შემდეგ ახალგაზრდა მწვრთნელი სამუშაოდ ტოტენჰემ ჰოთსპურმა მიიწვია. ყველას უკვირდა, თუ რატომ გაუშვა თავის დროზე ტოტენჰემის მფლობელმა გუნდიდან ჯერ ჰარი რედნაპი, კაცი, რომელმაც სპურსი ისტორიაში პირველად ჩემპიონთა ლიგაზე ათამაშა და კლუბს ახალი სახე მისცა. ხოლო, შემდეგ ანდრე ვილაშბოაში, რომელმაც ტოტენჰემის ისტორიაში, პრემიერლიგის სეზონში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა და გარეთ ბეილი ბოლომდე გახსნა. ლევის მეტი უნდოდა და პოჩეტინოს სახით მიიღო კიდეც.

გრიფა და ბიელსა პოჩეტინოებს სახლში ეწვივნენ და ჰექტორის 13 წლის შვილი მოიკითხეს. მშობლებმა ვაჟი გააღვიძეს და ოთახში შესულმა ბიელსამ ხოსე გრიფას უთხრა – ნახე, ხოსე, ნაღდი ფეხბურთელის ფეხები აქვს.

პატარა პოჩეტინოს როსარიოში თავისი პირველი კლუბი, ნიუელს ოლდ ბოისი ელოდა. თანაგუნდელ ძველ ბიჭებთან ერთად, მალე, პროვინციაში ყველაზე დიდი ძველი ბიჭი – მარსელო ბიელსა გაიცნო.

პოჩეტინომ ნიუელსში 6 სეზონი ითამაშა, ერთხელ 1990-91 წლებში არგენტინის პრიმერა დივიზიონის გამარჯვებული გახდა, ხოლო 1992-ში კლაუსერა მოიგო. 1994-ში პოჩი ბუენოს აირესიდან ბარსელონაში გაფრინდა, სადაც ესპანიოლის სასტარტოს წევრი გახდა.

არგენტინის ნაკრებში მაურისიო პოჩეტინომ 20 მატჩი ჩაატარა, მაგრამ მისი სანაკრებო კარიერის მთავარი პერიოდი, გუნდისთვის ყველაზე წარუმატებელ მსოფლიო ჩემპიონატის – 2002 წლის კორეა-იაპონიას უკავშირდება, სადაც პოჩეტინომ ინგლისთან მატჩში მაიკლ ოუენზე პენალტი „აიკიდა“, რომელიც დევიდ ბექჰემმა გაიტანა და არგენტინამ საძულველ მეტოქესთან 1:0 წააგო.

**მაურისიო პოჩეტინო:**

– ცხოვრებაში არის რაღაცები, რაზე საუბარიც, უბრალოდ არ ღირს. თქვენ რა გგონიათ, მარადონამ რომ ხელით ითამაშა 1986-ში, პეტერ შილტონმა ჰკითხა, ხელი იყო თუ არა? ყველამ იცოდა, რომ ხელი იყო. მაიკლ ოუენმაც იცის, რომ პენალტი არ იყო, მაგრამ ახლა ამას აზრი აღარ აქვს.

მაურისიომ გუნდი ახალ სიმაღლეზე აიყვანა, ტოტენჰემი წინა წლებთან შედარებით სტაბილურად კარგად თამაშობს, ოთხეულის წევრია და ჩემპიონთა ლიგაზე სპურსის წლევანდელი გამოსვლა, ტოტენჰემის გულშემატკივრებს კიდევ უფრო უკეთესი მომავლის იმედს აძლევს.

რაც მთავარია, ამას პოჩი პოტენციალში ინვესტირებით და ადგილობრივი ახალგაზრდა კადრებით აკეთებს. ჰარი ვინკსი, ერიკ დაიერი, დელე ალი, ბენ დევისი, რაიან მეისონი, კლუბის რეკორდსმენი – ჰარი კეინი და სხვები, ამის ნათელი მაგალითი არიან.

მაურისიომ, მარსელო ბიელსასგან ბევრი რამ ისწავლა, ის თვლის, რომ ადამიანი მოედანზე ისევე იქცევა, როგორც ცხოვრებაში, ამიტომ ჯერ მათ ცხოვრებას სწავლობს. ზონალური დაცვა და სამსახურივით ფეხბურთი დიდად არ აინტერესებს, ის პრიორიტეტს ინდივიდს ანიჭებს და ერთი-ერთზე თამაშის პრაქტიკა, მისი ძლიერი სამწვრთნელო მხარეა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ნიანგმა მოსწავლე ძმის თვალწინ შეჭამა



ინდოეთის ოდიშას შტატში ნიანგის თავდასხმის შედეგად 14 წლის მოსწავლე დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინდური გამოცემა ავრცელებს.

რეპტილიამ მოზარდს პირი იმ დროს სტაცა, როდესაც ის მდინარეში ბანაობდა, რომელიც ბხიტარკანიკის ეროვნული პარკის მახლობლად მდებარეობს. თვითმხილველის თქმით, ნიანგმა მოულოდნელად ამოყვინთა დაბალ წყალში, სადაც წყალი მხოლოდ მუხლებამდე წვდებოდა, ბიჭს პირი სტაცა და სიღრმისკენ წაათრია.

მომხდარის თვითმხილველები ბავშვის დახმარებას შეეცადნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. სამაშველო ოპერაციამ, რომელიც ექსტრემალურმა სამსახურმა ჩაატარა, შედეგი ასევე ვერ გამოიღო. მოზარდის სხეულის ნარჩენები ამ დრომდე არ არის ნაპოვნი. სავარაუდოდ, გამოძიების დასრულების შემდეგ დაღუპულის ნათესავები კომპენსაციის სახით 300 ათას რუპიას მიიღებენ.

ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ ბხიტარკანიკის მიდამოებში ნიანგები ყოველ წელს კლავენ და ასახიჩრებენ 6-10 ადამიანს. სოფლის მცხოვრებლები ბავშვის დაღუპვაში ბრალს ხელისუფლებას სდებენ, რადგან არ აღმართეს დამცავი ღობე სანაპიროზე, სადაც ინდუიზმის მიმდევრები რიტუალურ განბანვას ასრულებენ.

## წითელ შუქნიშანზე გადასვლისთვის ჩინელებს წყლით წუწავენ



ჩინეთის ხუბეის პროვინციის ქალაქ ხუანშიში დაიწყო მოწყობილობის გამოცდა, რომელიც მოწოდებულია იმისთვის, რომ ფეხით მოსიარულეები ქუჩაზე წითელ შუქნიშანზე გადასვლას გადააჩვიონ.

ერთ-ერთ გზაჯვარედინზე დაყენებულია ლითონის ბოძები ინფრაწითელი დატჩიკებით და შემასხურებლებით. ისინი იმ დროს ირთვება, როდესაც გადასვლა აკრძალულია და წყალს ასხამენ იმ ადამიანებს, რომლებიც მათ შორის გავლას ცდილობენ.

ამ სიახლემ სკეპტიკური რეაქცია გამოიწვია ჩინური სოციალური ქსელების მომხმარებელთა შორის.

– ანუ წვიმაში ყოველთვის წითელზე გადავდივართ? რა პრობლემაა? – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

## ატრაქციონიდან ჩამოვარდნილი ჩინელი დაიღუპა



ჩინეთში გაუმართავი ატრაქციონიდან ჩამოვარდა მამაკაცი, რომელიც შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ინციდენტი ხენანის პროვინციის სიუიჩანის ოლქში მოხდა. 23 წლის დამთვალიერებელს მოულოდნელად უსაფრთხოების ღვედი გაეხსნა. ხალხი მას უყვიროდა, რომ ატრაქციონიდან გადმომხტარიყო, მაგრამ მან ამის გაკეთება ვერ მოახერხა, ჩამოვარდა და დაიმტვრა.

დაშავებული დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

უსაფრთხოების დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა წინასწარი გამოძიების შედეგების თანახმად განაცხადეს, რომ ინციდენტი ტექნიკური გაუმართაობის გამო მოხდა.

## მანქანაში ჩაკეტილმა დათვმა მაშველს დასიგნალებით მოუხმო



ამერიკის კოლორადოს შტატის ბოულდერის ოლქში, დათვი ავტომობილში ჩაიკეტა და მანამდე ასიგნალებდა, სანამ ის მანქანიდან არ გამოუშვეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პოლიცია ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოლქის მცხოვრებმა ქალბატონმა პოლიციაში გვიან ღამით დარეკა და შეატყობინა მათ, რომ მის მანქანაში ვიღაც ზის და გაუთავებლად ასიგნალებს. ადგილზე მისულმა შერიფის თანაშემწეებმა ავტომობილში 70-90 კილოგრამიანი მოზრდილი დათვი აღმოაჩინეს.

როგორც ჩანს, ცხოველი მანქანაში უკანა კარიდან შეძვრა და ამ დროს შემთხვევით მიიხურა კარი. მანქანაში ჩაკეტილ მდგომარეობაში მყოფმა ავტომობილის სალონის განადგურებას მიჰყო ხელი. როდესაც შერიფის თანაშემწეებმა მანქანის კარი გააღეს, ცხოველი სწრაფად გადმოხტა და ტყისკენ გაიქცა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

**26 აპრილისთვის**



**ვერძი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ ინტუიციას მიენდეთ და ისე იმოქმედეთ. **კურო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. მზად იყავით მოულოდნელი ცვლილებებისათვის. ერიდეთ საქმის გარჩევას ახლობელთან. **ტყუპები** – პლანეტები კვლავ გმფარველობენ. სასიცოცხლო პოტენციალი ძლიერია. საქმიანი პარტნიორები მხარს გიჭერენ. **კირჩხიბი** – იფრთხილეთ. დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები. დიდია მოტყუების ალბათობაც. **ლომი** – აქტიურობას ერიდეთ. არაკეთილისმყოფელი დღეა. თავი შეიკავეთ სხვისი პრობლემების მოგვარებისაგან. **ქალწული** – ნებისმიერი საქმე გამოგდით. თამამად და აქტიურად იმოქმედეთ. მეგობრებთან ურთიერთობა ოპტიმიზმს შეგმატებთ. **სასწორი** – სინდისის ხმას მოუსმინეთ. ხელმძღვანელობას ნუ შეეკამათებით. საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ღრიანკალი** – პროფესიულ სფეროშიც და ოჯახშიც სიტუაცია რთულია. აუცილებელია გარემოს შეცვლა. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. ბიზნესში გიმართლებთ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – ღირსების გრძნობა შეინარჩუნეთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მერწყული** – ძალებს გაუფრთხილდით. ენერგიის ფუჭად ხარჯვა რეკომენდებული არ არის. **თევზები** – შესაძლოა, ახალი, თქვენთვის უცნობი საქმის კეთება მოგიხდეთ. საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი; 2. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 3. რაიმეს განვითარების საფეხური, პერიოდი; 4. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ღრმა, ვიწრო ხეობა; 9. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 11. გემის მდგრადობის გამაწონასწორებელი ტვირთი; 15. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 17. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია. 19. სახელმწიფო აზიაში; 21. ეკლესია, სამლოცველო; 22. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. პირველი მაჯის საათების შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 7. უდაბნო ჩილეში; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 12. შიშველი, წვეტიანი კლდე; 13. კანადის დედაქალაქი; 14. ინგლისელი კომიკოსი; 18. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 20. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 23. პოეტ ნიკოლოზ რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 24. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 25. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 26. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 27. შუამავალი ბირჟაზე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჰოლდინგი; 2. შეიკერი; 3. სტუკო; 4. ლიგნიტი; 5. თამბაქო; 10. პასკვილი; 11. ეფრემვერდი; 12. სიმენსი; 15. პარტიტურა; 16. ავერსი; 17. ბურნაკუ; 20. ცერნი.

**თარაზულად**: 6. კონცენტრატი; 7. ზინდანი; 8. ბრონქსი; 9. დნეპრი; 13. მოლა; 14. აფონია; 18. დეპორტივი; 19. ბურჟე; 21. ვერძი; 22. გიურზა; 23. კუსტურიცა; 24. კვადრიგა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. თრიაქი; 2. ხარკი; 3. მიოპია; 4. მეტეხი; 6. ესკადრა; 9. ცედრა; 11. დუაიენი; 15. იმუნიტეტი; 16. ჩაქურა; 17. ჰიუსტონი; 19. აჯამეთი; 21. ბარტერი; 22. თაბახი.

**თარაზულად**: 5. პრობაცია; 7. სადროშო; 8. უტოპია; 10. მეოტიდა; 12. ხიხვი; 13. აბუჯა; 14. გარნიტური; 18. აჯიკა; 20. მარიცა; 23. ფაზისი; 24. რუხი; 25. ბერეტა; 26. ხოტი; 27. პროტონი.

# მურმან ჯინორიამ ეკლესიის მშენებლობა დაასრულა



რამდენიმეწლიანი შრომის შემდეგ, რუსთაველის თეატრის მსახიობმა მურმან ჯინორიამ ეკლესიის მშენებლობა დაასრულა.

მსახიობმა სამეგრელოში, სენაკის რაიონის მშობლიურ სოფელ სორტაში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია საკუთარი ხელით ააშენა.

ეკლესიის შესახებ ვიდეო მომღერალმა ლაშა ღლონტმა სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ბატონი მურმან ჯინორიას მიერ საკუთარი ხელით აშენებული ეკლესია სამეგრელოში, მშობლიურ სოფელში, ულამაზეს სორტაში!

საკუთარი შრომით და მწირი ჰონორარებით მთელი ცხოვრება აშენებდა და მხოლოდ ახლახან დაასრულა. დღეს იქ უკვე წირვა აღევლინება! შეუწიროს უფალმა ეს უკეთილშობილესი საქმე ჩვენს გენიალურ ხელოვანს!

# მაია დარსმელიძე გადაცემებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს

მომღერალი მაია დარსმელიძე ტელევიზიების მიერ მიწვევებს უარყოფითად პასუხობს და სხვადასხვა გადაცემებში მონაწილეობაზე უარს საჯაროდ, სოციალურ ქსელში აცხადებს.

**მაია დარსმელიძე:**

– რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთ, ერთ-ერთ ძალიან რეიტინგულ თოქ შოუში მონაწილეობაზე ვთქვი უარი.

თავიდან ვიფიქრე, რომ ასე, არსად რომ არ ვთანხმდები, შეიძლება საერთოდ გავქრე რადარებიდან და რატომაც არა თქო და დავთანხმდი. მივედი ჯერ უბრალოდ გასაუბრების ფორმატში დაგეგმილ შეხვედრაზე...



რამდენიმე თემა ჩემთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა, მარა მაინც ვისაუბრე... კი, არის „მომენტები“, რომელშიც უდავოდ საინტერესო მასალა ვარ და ასივე პროცენტით საინტერესო იქნებოდა, მაგრამ გააჩნია ვისთვის? დრამის და მძაფრსიუჟეტიანი ჟანრის მოყვარული მაყურებლისთვის ძალიან მიმზიდველი, ბევრი ცხოვრებისეული დრამით და სიმძიმეებით გაჟღენთილი ისტორიები ზოგან გულწრფელ ცრემლსაც კი გამოიწვევდა...

მარა მერე დავფიქრდი: მინდა მე, რომელსაც უსაზღვროდ მეზიზღება წუწუნი, ასეთი ფასით ამაღლებული საკუთარი რეიტინგი? და რა სარგებელს, გარდა მაყურებლის იმ გარკვეული სეგმენტის სიმპათიებისა, რომელსაც უყვარხარ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეცოდები, მომიტანდა პირადად მე? ან ამ თემების გახსენებით თავად, რა ძალიან ღრმად ჩამარხულ ტკივილს ამოვატივტივებდი და რამდენხანს ვერ დავიძინებდი მერე, მთელი ამ დრამატული არქეოლოგიის ზედაპირზე ამოყრის შემდეგ?

მე მაპატიეთ, მარა მირჩევნია იმ მხოლოდ დრამით შესაბმელ კეთილგანწყობას ისევ ისე არ ვახსოვდე, ან თუ ვახსოვარ და არ ვევასები, არ ვევასებოდე... და საერთოდ ყველაფერი მირჩევნია მასის გემოვნებაზე მორგებას. მე თუ მოვალ, მინდა ვიყო სასარგებლო, რაც უკეთ შემიძლია, ვიდრე ვიყო კიდევ ერთი, მორიგი ეთერში გაჟღერებული მძიმე, ან, თუნდაც, სახალისო ისტორიების მთხრობელი.

ამას მირჩევნია სუ გავქრე და პატრონიც მოს...ნია ჩემს აქაურ „შელებრითობას“. ბევრს არ შევუძლივარ ასეთი. ზოგმა სიამოვნებით გააბაზრა და მერე თავადვე აიტაცა რომ „მძიმე“ ვარ. ბევრისთვის ძალიან საინტერესო რესპონდენტი ვარ. მაგრამ.

დადოს დრამა მან, ვისაც სხვა „სათქმელი“ არ აქვს ან უბრალოდ ევასება სენტიმენტებით ჟონგლირება, დადოს ძუძუ მან, ვისაც მხოლოდ ძუძუ აქვს და რეიტინგის დასაწერი მეტი არაფერი შეუძლია. ისაუბროს ყავაზე და სიგარეტზე მან, ვისაც ჯანსაღი ადამიანის იმიჯიც არ აწყენდა. მე მირჩევნია საერთოდ გავქრე მასიური „რადარებიდან“, თუკი ჩემს „რადარებზე“ გამოჩენას წინ უნდა უძღვოდეს რაიმე ჩემი „შემზარავად მძიმე ბიოგრაფიული ეპიზოდები“.

ყველას პატივს გცემთ, ვინც მდებთ პატივს და მეძახით თქვენს ნამდვილად ძალიან რეიტინგულ და ყურებად გადაცემებში. მაგრამ არ მოვალ. მაპატიეთ... ან გავქრები, ან მოვალ მხოლოდ ისეთ გადაცემაში, სადაც მეტად სასარგებლო ვიქნები.

ვინც მიცნობთ, ზუსტად იცით რისი კეთებაც მეხერხება და რა მიყვარს გულით, თავდადებამდე. ზუსტად იცით და ზოგს სწორედ ამიტომ არ გევასებით, რა შემიძლია და რაზე ვბრაზდები გულწრფელად, როდესაც ვხედავ პირად სიმპათიებზე აწყობილ კომპრომისებს ან სრულიად არაკომპეტენტურ მიდგომას და ღიად გამოვთქვამ საკუთარ აზრს. არ მინდა ვიყო იქ, სადაც არაფერშუაში ვარ და „პერსპექტივიდან დანახულ საერთო სურათზე“ უბრალოდ ვქმნიდე ანტურაჟს, ვიყო ფეისებით დაკომპლექტებულ იმ მასოვკაში, რომლებსაც სულ ეძახით და აი, ჩანან.

ასეთ გამოჩენას მირჩევნია, სულ არ ვიყო და გავქრები უბრალოდ, ოკეი?

არსად აღარ დამიძახოთ და ასეთ პოსტებსაც აღარ დავწერ და არც გული დამწყდება, რომ იქ, სადაც მართლა საჭირო და სასარგებლო ვარ, ვერავის გახსენდებით, ან ჩემი, სხვაზე კომპეტენტური ტრ..ის ადგილი ფიზიკურად არ არი.

# ქართველი დიზაინერები რუსეთსა და რუს ქალებზე ალაპარაკდნენ

უცხოეთში მოღვაწე ქართველი დიზაინერები დავით კომახიძე, დემნა გვასალია და მისი ძმა გურამ გვასალია რუსეთსა და რუს ქალებზე ალაპარაკდნენ.

დავით კომახიძეს რუსი ცოლი ჰყავს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რუსი ქალები განსაკუთრებულად მოსწონს.



**დავით კომახიძე:**

– მომწონს, რუს ქალებს ჩემი სამოსი რომ აცვიათ, რუსი ქალები მსოფლიოში ყველაზე ლამაზები არიან... რუსეთზე ძალიან ბევრ სიცრუეს ამბობენ. მე მიყვარს, როცა პეტერბურგში ჩავდივარ, წელიწადში ორჯერ მაინც ვცდილობ ჩავიდე, ჩემს მეგობრებთან ყოველთვის კარგ დროს ვატარებ.





**დემნა გვასალია:**

– როცა წლების შემდეგ რუსეთში პირველად ჩამოვედი, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ საბჭოთა კავშირში დამაბრუნეს. ცოტა ნოსტალგია ვიგრძენი, მაგრამ რომ მითხრათ, რუსეთში უნდა იცხოვროო, ამ ფაქტს პოზიტიურად ვერ შევხვდები.

**გურამ გვასალია:**

– რუსი კლასიკოსი მწერლები მიყვარს.

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჰრინევსკის მიერ მოხატულ ჯადოსნურ ჰოლს პოლონური მხარე აღადგენს

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ისტორიული ეტაპი სულ მალე დაიწყება.

**გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:**

– მორიგი ისტორიული ამბავი. საბოლოოდ დადასტურდა შეთანხმება, რომელსაც პოლონეთის პრეზიდენტის სტუმრობისას მივაღწიეთ. ოღონდ დადასტურდა უფრო მასშტაბურად, ჰრინევსკის მიერ მოხატულ ჯადოსნურ ჰოლს და ასევე ფანტასტიკურ ოთახს, რომელსაც ხელოვნების დარბაზი დაერქმევა, მთლიანად პოლონური მხარე აღადგენს.

მუშაობა მაისში დაიწყება! პოლონეთის ელჩი მარიუშ მაშკიევიჩი გვესტუმრა და გვახარა. მალე პოლონეთის პარლამენტის თავმჯდომარეს და მერე უკვე პრეზიდენტს ველოდებით.

# სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად ცნობილი ადამიანები პირად ნივთებს გაყიდიან

სიმსივნით დაავადებული ბავშვების და 22 წლამდე ახალგაზრდების დასახმარებლად საქველმოქმედო აუქციონი გაიმართება.

26 აპრილს სოლიდარობის ფონდი ტექნოპარკში საქველმოქმედო აუქციონს გამართავს, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილი იქნება ცნობილი ქართველი მხატვრების ნამუშევრები, სპორტსმენებისა და სახელგანთქმული მოღვაწეების პირადი ნივთები.

გასაყიდად წარდგენილი ნივთებიდან ცნობილია, რომ თავის ხელნაწერს მწერალი გურამ დოჩანაშვილი გაყიდის, კალათბურთელი ზაზა ფაჩულია კი აუქციონზე წარადგენს თავის ფორმას ავტოგრაფით.

აუქციონის შედეგად შეგროვილი თანხა მოხმარება ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვების და 22 წლამდე ახალგაზრდების მკურნალობას.

# ოთო კვალიაშვილი: „ვფიქრობ, რომ ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მივიღე“

20 წლის მომღერალი ოთო კვალიაშვილი მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ პირველ ტურში შოთა ლეგაშვილთან ერთად აუთსაიდერებში აღმოჩნდა, თუმცა ნიკა გვარამიას გადაწყვეტილებამ ვეტოს გამოყენების შესახებ, ორივე კონკურსანტი პროექტში დატოვა.





**ოთო კვალიაშვილი:**

– ჩემი საყვარელი სიმღერაა გია ყანჩელის „ყვითელი ფოთლები“.

***– ვინ გირჩიათ „მხოლოდ ქართულში“ მონაწილეობა?***

– კასტინგზე გასვლის გადაწყვეტილება მომენტალურად მივიღე, რითიც ახლობლებიც კი გაოცებული დავტოვე.

***– ხომ არ ნანობთ მიღებულ გადაწყვეტილებას?***

– ვფიქრობ, რომ ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მივიღე. არაჩვეულებრივი გარემო, არაჩვეულებრივი ჟიური, არაჩვეულებრივი კონკურსანტები, რომლებიც დღეს უკვე ჩემი მეგობრები არიან. ბევრი პოზიტივი ერთბაშად შევიძინე. თავი ასე ლაღად არასდროს მიგრძნია. მოლოდინი დიდი მაქვს, ღმერთმა ქნას, პროექტში წარმატებას მივაღწიო.

***– როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?***

– საკუთარ თავზე და ჩემს გამორჩეულობაზე ლაპარაკი მიჭირს. ვიტყვი, რომ ვარ ერთგული ადამიანი, კარგი მეგობრობა შემიძლია, მიყვარს სიმღერა და კიდევ სიმღერა. ჩემი ჰობი კლასიკური მუსიკის მოსმენაა. ასევე, მოგზაურობა და ბუნებაში დასვენება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



თენგიზ ხურციძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი ნათესავი

**ნინო ომარის ასული ხურციძე**

გამოსვენება: 26 აპრილს, 14 საათზე, სიონის საკათედრო ტაძრიდან.

ასოციაცია მესხეთის პრეზიდიუმი იუწყება პრეზიდიუმის წევრის ლუკა მესხის ძვირფასი მეუღლის

**ბელა ოქროპირიძის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კალეიდოსკოპი

### მთვრალ ტურისტს სასტუმროს გზა აერია და ალპებში ავიდა



ესტონელი ტურისტი, სახელად პაველი, შეცდომით საკუთარი სასტუმროს მაგივრად იტალიის ალპებში აღმოჩნდა.

30 წლის ესტონელს ღამით იტალიის სამთო კურორტ ჩერვინიაში გზა აებნა. ის თავისი სასტუმროსკენ მიმავალ მოსახვევს გაცდა და გზამ, რომელსაც ის დაადგა, სამთო ტრასაზე გაიყვანა. ძლიერ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ტურისტმა ვერ შენიშნა, რომ აღმართს მიუყვებოდა და შედეგად 2400 მეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა. იქ მან შეაღწია ბარში, დალია ორი ბოთლი წყალი და ბარის მაგიდაზე დაეძინა.

კარაბინერები და მაშველები მთელი ღამის განმავლობაში ძაღლების, შვეულმფრენებისა და დრონების დახმარებით ეძებდნენ დაკარგულ ესტონელს. ის მხოლოდ დილით აღმოაჩინეს, როდესაც დაწესებულების მფლობელები ბარში მივიდნენ.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ესტონელ ტურისტს ამ ყოველივეს გამო ჯარიმის გადახდა მოუწევს.

### მეცნიერებისთვის უცნობი სახეობის რვაფეხებმა თავი ოკეანის ფსკერზე მოიყარეს



მეცნიერებმა წყნარი ოკეანის ფსკერზე მეცნიერებისთვის უცნობი რვაფეხების სახეობის დიდ გუნდს მიაგნეს, რომლებიც სიცოცხლისთვის გამოუსადეგარ პირობებში დებენ კვერცხებს.

მოლუსკების გუნდი დორადოს – გაქვავებული ლავას, შესწავლის დროს შენიშნეს, რომელიც კოსტა-რიკის სანაპიროსთან სამი კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობს. ათეულობით რვაფეხა მიკრულია ქვებზე ნაპრალის მახლობლად, საიდანაც თბილი წყალი ამოდის.

უპილოტო წყალქვეშა აპარატმა ასზე მეტი ღრმა წყლის ბინადარი რვაფეხას გადაღება მოახერხა. ბევრი მათგანი კვერცხებით სავსე საბუდარებს დარაჯობდა. მკვლევარებმა მინიმუმ 186 კვერცხი დათვალეს, თუმცა არც ერთ ემბრიონს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა.

სპეციალისტების აზრით, ეს ცხოველები Muuscoctopus-ს გვარს განეკუთვნებიან, თუმცა ისინი აქამდე არავის აღუწერია, ისინი გამოირჩევიან ვარდისფერი შეფერილობით და უჩვეულოდ დიდი თვალებით. მოზრდილი რვაფეხა ზომით სადილის თეფშს შეესაბამება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4791 |
| ევრო | — 3.0282 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.4564 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.0254 |

## ამინდის პროგნოზი 26 აპრილისთვის








5 აპრილიდან

150 ამბავი

ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



თან საჩუქარი

19 აპრილიდან

120 ამბავი

ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი





## ენოტმა მარიხუანა დააგემოვნა და მოძრაობის უნარი დაკარგა

ამერიკელმა ქალბატონმა დახმარებისთვის მეხანძრეებს მიმართა. მისმა ენოტმა მარიხუანის მოხმარების შემდეგ მოძრაობის უნარი დაკარგა.

ინდიანას შტატის ქალაქ ინდიანაპოლისის მაშველებმა ისაუბრეს ქალზე, რომელმაც ღამის ორ საათზე დააკაკუნა მათ კარზე და სთხოვა, რომ მის შინაურ ენოტს დახმარებოდნენ. განყოფილების ხელმძღვანელმა, კაპიტანმა მაიკ პრუიტმა აღნიშნა, რომ ქალის ამ მიმართვამ ისინი დააბნია.



— მათ მხოლოდ იმის თქმა მოახერხეს, რომ ცხოველი მეტად მოშვებული, შენელებული იყო და იქცეოდა ისე, როგორც იქცევიან ჩვეულებრივ ადამიანები, რომლებმაც მარიხუანას მეტი რაოდენობა მოიხმარეს, — აღნიშნა კაპიტანმა.

მაშველები თავიდან ვერ მიხვდნენ, თუ რითი მოიწამლა ენოტი: განიხილავდნენ მეტამფეტამინისა და ჰეროინის ვერსიებს. ცხოველის შესამოწმებლად სახანძრო განყოფილებაში პოლიციელები მივიდნენ, მაგრამ იმ დროისთვის ქალი თავის ენოტთან ერთად უკვე სახლში იყო დაბრუნებული.

## მოზარდმა მშობლებს საკრედიტო ბარათი მოჰპარა და კუნძულ ბალიზე გაფრინდა

მოსწავლემ ავსტრალიის ქალაქ სიდნეიდან თავის მშობლებს საკრედიტო ბარათი მოჰპარა, ბებიას მოტყუებით გამოსძალა საკუთარი პასპორტი და მარტო გაფრინდა კუნძულ ბალიზე.

დედასთან კამათის შემდეგ, რომელმაც თავის 12 წლის შვილს ბალიზე გაფრენა აუკრძალა, მან დამოუკიდებლად დაჯავშნა თვითმფრინავის ბილეთი და ნომერი სასტუმროში და საზღვარი გადაკვეთა.



დრიუმ, როგორც მას შეარქვეს ამერიკულ ახალი ამბების სააგენტოში, მშობლებს უთხრა, რომ სკოლაში მიდიოდა, თუმცა სინამდვილეში ის მივიდა რკინიგზის სადგურში, საიდანაც მატარებლით იმგზავრა აეროპორტამდე. თავად მოზარდის თქმით, ერთადერთ შემთხვევას, როდესაც მას საბუთების ჩვენება მოსთხოვეს, პერტეში გადაჯდომის დროს ჰქონდა ადგილი. ბალიზე ჩაფრენის შემდეგ დრიუ დარეგისტრირდა სასტუმროში და მის პერსონალს განუცხადა, რომ დის ჩასვლას ელოდებოდა.

მისი ტყუილი მას შემდეგ გამოვლინდა, როდესაც მასწავლებელმა ბიჭის ოჯახს დაურეკა და აცნობა, რომ ბიჭი გაკვეთილებს არ ესწრებოდა. როდესაც დედამ შეიტყო, თუ სად იმყოფებოდა სინამდვილეში მისი შვილი, ის ბალიზე ჩაფრინდა და შვილი სახლში დააბრუნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დანიელე დე როსი: „ფინალში გასვლა შეგვიძლია“

რომას კაპიტანმა დანიელე დე როსიმ ლივერპულთან მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია რომში რევანშის აღება.



დე როსის აზრით, ეს მისია შეუსრულებელი ნამდვილად არ არის, თუმცა მეორეჯერ სამბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა ძალიან რთული იქნება.

— ჩვენ ერთხელ უკვე მოვახერხეთ ამის გაკეთება და არ ვფიქრობ, რომ ბარსელონა ლივერპულზე სუსტია. რომში სულ სხვანაირი თამაში იქნება და ბოლომდე ვიბრძოლებთ, — განაცხადა დანიელე დე როსიმ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



მამაკაცი სექსოპათოლოგს შესჩივის:

— ექიმო, დიდი ხანია ცოლთან სექსი აღარ მქონია.

— და ბოლოს როდის იწექით ცოლთან?

— არც კი მახსოვს... ერთი წუთით, ცოლს დავურეკავ და ვკითხავ.

ურეკავს ცოლს:

— ალო, ძვირფასო, ხომ ვერ მეტყვი, ბოლოს როდის გვქონდა სექსი მე და შენ?

— რომელი ხარ?

•••

ერთი ახალგაზრდა მეორეს ეკითხება:

— თუ ჩემი მეგობარი გოგონა სხვასთან იწვა, ეს ღალატია?

— თუ უშენოდ იწვა, მაშინ, რა თქმა უნდა, ღალატია.

•••

სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი ეუბნება:

— შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს, ცუდი და კარგი.

— ცუდით დაიწყე.

— ხორცი სანახევროდაა შემწვარი და მარილიც აკლია.

— და კარგი რომელიღაა?

— ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული ცდები შეწყვიტა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— ფილმ „ტიტანიკში“ მთავარი როლის შემსრულებლად დი კაპრიო რატომ შეარჩიეს?

— აბა, მის მაგივრად ვინ დიზელი, სტივენ სიგალი ან კიდევ უფრო უარესი, ბრიუს უილისი რომ შეერჩიათ, „ტიტანიკის“ მაგივრად აისბერგი ჩაიძირებოდა.

•••

ჩვილბავშვიანი ქალი მატარებლით მგზავრობს. ბავშვს ჭამამ რომ მოუწია, ძუძუ ჩაუდო პირში, შემდეგ მის წინ მჯდომ მამაკაცს ეკითხება:

— ბავშვს ძუძუს რომ ვაჭმევ, ხომ არ გაღიზიანებთ?

— როგორ არ ვღიზიანდები, ბავშვის თავის გამო არაფერი ჩანს.

•••

მესაზღვრე ძაღლთან ერთად საზღვარს ათვალიერებს. ამ დროს შორიახლო ბუჩქებიდან შრიალის ხმა გაისმა. მესაზღვრე ძაღლს ეუბნება:

— მიდი, ნახე, იქ რა არის.

— მიდი და შენ თვითონ ნახე, მე აქედანაც კარგად დავიყეფებ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სტივენ ჯერარდი: „მოჰამედ სალაჰი მსოფლიოში საუკეთესოა“

ლივერპულის ლეგენდამ სტივენ ჯერარდმა მოჰამედ სალაჰზე ისაუბრა და თქვა, რომ ამჟამად ეგვიპტელი ფეხბურთელი მსოფლიოში საუკეთესოა.



ჯერარდის აზრით, სალაჰს აქვს პოტენციალი, რომ მოუმატოს და გუნდისთვის უფრო მეტი გააკეთოს.

— მესი და რონალდო წლების მანძილზე საუკეთესოები იყვნენ, მაგრამ ამჟამად სალაჰი მათ არაფრით ჩამოუვარდება. მისი გოლები რომას წინააღმდეგ საოცარი იყო და ის ლივერპულის ნამდვილი ლიდერია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამჟამად სალაჰი მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია, — განაცხადა სტივენ ჯერარდმა.

სალაჰმა რომას წინააღმდეგ 2 გოლი გაიტანა, შეხვედრა კი 5:2 დასრულდა ლივერპულის სასარგებლოდ.

## ნოვაკ ჯოკოვიჩმა ისევ წააგო



მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომერი ნოვაკ ჯოკოვიჩი ბოლო პერიოდში ძალიან ცუდად ასპარეზობს და ის უკვე ათეულს მიღმა იმყოფება. ნოვაკმა მორიგი მარცხი ბარსელონაში განიცადა, სადაც ის სლოვაკ მარტინ კლიჟანთან დამარცხდა სამ სეტში.

ნოვაკმა აღიარა, რომ აღარ არის ისეთი, როგორც ადრე, მაგრამ იმედოვნებს, რომ ძველ ფორმას დაიბრუნებს, თუმცა ამის გაკეთება იოლი არ იქნება.

ჯოკოვიჩმა მწვრთნელიც შეიცვალა, მაგრამ ჯერჯერობით ეს მის თამაშზე დადებითად არ ასახულა.

ჯოკოვიჩი ამჟამად მსოფლიო რეიტინგში მეთორმეტე პოზიციას იკავებს.

## ბარსელონა მარკოს ალონსოთი დაინტერესდა

ბარსელონა ჩელსის მცველით მარკოს ალონსოთი დაინტერესდა, რომელიც ჩელსის წამყვან ფეხბურთელად ითვლება.



ალონსო ხშირად თამაშობს ჩელსის ძირითად შემადგენლობაში და სავარაუდოდ ლონდონელები მას იოლად არ დათმობენ.

ბარსელონას ზაფხულში რამდენიმე ტრანსფერი აქვს დაგეგმილი და ალონსო იმ ფეხბურთელების რიცხვში შედის, რომლების ყიდვასაც შეეცდებიან კატალონიელები. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ისიც, რომ ბარსელონა ატლეტიკოს ფორვარდით, ანტუან გრიზმანით არის დაინტერესებული და ამ ტრანსფერში 100 მილიონ ევროზე მეტს იხდის.

## არსენ ვენგერი პენსიაზე გასვლას არ აპირებს



როგორც ცნობილია, სეზონის ბოლოს არსენ ვენგერი არსენალს დატოვებს. ვენგერმა უკვე გააკეთა რამდენიმე კომენტარი თავისი მომავლის შესახებ და თქვა, რომ ის სხვა გუნდის მწვრთნელი გახდება, თუმცა მან ჯერჯერობით არ იცის ამ გუნდის ვინაობა:

— მუშაობას აუცილებლად გავაგრძელებ, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიცი, სად. გადაწყვეტილებას სავარაუდოდ ზაფხულში მივიღებ. სეზონის ბოლოს მე არსენალის მწვრთნელი ვარ და ახლა მხოლოდ ატლეტიკოსთან შეხვედრაზე ვფიქრობ.

ატლეტიკოს არსენალი საკუთარ მოედანზე 26 აპრილს მიიღებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 2. ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 3. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 4. მუსლიმთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 5. ირლანდიის დედაქალაქი; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 11. გაზეთის, ჟურნალის თანამშრომელი; 12. პოეზიისა და მუსიკის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ერთკუზიანი აქლემი; 16. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 17. მდინარე ერევანში; 20. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად:** 6. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 7. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი; 8. ველური ვაზი; 9. ფულის ერთეული ერაყში; 13. ტბა გაგრის ნაკრძალში; 14. ქალაქი კახეთში; 18. დელტაპლანის სახელწოდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 19. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 21. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 22. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი; 23. წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მორწმუნე; 24. აეროპორტი ამსტერდამში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

